



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2018

საერთაშორისო კონფერენცია
ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა

INTERNATIONAL CONFERENCE
THE GEORGIAN MANUSCRIPT HERITAGE

სარედაქციო ჯგუფი

ზაზა აბაშიძე, შალვა გლოველი, დარეჯან კლდიაშვილი,
თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე

EDITORIAL GROUP

Zaza Abashidze, Shalva Gloveli, Darejan Kldiashvili,
Thamar Otkhmezuri, Maia Rapava, Mzia Surguladze

მოსხენებათა თეზისები

ABSTRACTS OF PAPEERS

ISBN 978-9941-9564-6-1

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2018

სარჩევი

თამარ აბულაძე

სამეცნიერო შინაარსის ხელნაწერები: ინტერდისციპლინური კვლევა, შედეგები და პერსპექტივები 13

ნიკოლოზ ალაქსიძე, ზარიან უორდ-პარკინსი

პროექტი „წმინდანთა კულტი გვიან ანტიკურ პერიოდში“: ქრისტიანულ სამყაროში წმინდანთა კულტის განვითარების დოკუმენტირება და კვლევა 17

ია ახვლედიანი, ირინა გომონაია, მაია კარანაძე

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები: კვლევის შედეგები და პერსპექტივები 19

ავილიო გონვილიო

ბიზანტიიდან კავკასიამდე: იოანე ოქროპირი ქართულად 21

ალექსანდრე გომიშვილი, ავოლონ თაგუაშვილი

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხები – აკად. ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში დაცული გამოუქვეყნებელი მასალები 23

ალესანდრო მარია ბრუნი

„დავითის“ ძველი ქართული თარგმანი და მისი წყარო: შედარებითი ტექსტობრივი კრიტიკის ცალკეული საკითხები 26

სათუნა გაფრინდაშვილი, ციციანო გულადანი,

ნათია მიროტაძე, ღალი ჩიტუნაშვილი, ირმა ხოსიტაშვილი

ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 28

ასმათ გვაზავა, ლილა გოცირიძე,

თამარ ღვალაშვილი, სოფიო ცარცვაძე

წერილობითი მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო კვლევების შედეგები 30

შალვა გლოველი

ციფრული ჰუმანიტარია და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 32

ნათია დუნდუა

ტობის ნიგნის ქართული ვერსიის მნიშვნელობა ბიბლიის ტექსტუალური კრიტიკისთვის 34

აკა დულაშვილი

ათონის მთის სავანეების (წმ. პანტელეიმონისა და სიმონოპეტრას) უცნობი ქართული ხელნაწერები 35

ჯილიან ევისონი

ქართული კოლექცია ბოდლეს ბიბლიოთეკაში: XXI საუკუნე 37

გაინა ელიაზიანი

მატენადარანის მძიმედ დაზიანებული წერილობითი ძეგლების რესტავრაცია 39

ოლგა ვასილივა

ქართული ხელნაწერები რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში: კოლექციის ფორმირების ისტორიასთან დაკავშირებით 40

შორენა თავაძე, რევაზ კლდიაშვილი, ივოლდა ჯიქიძე

მელნის მორფოლოგიური და ელემენტური ანალიზი 42

პუბერტ კაუფკოლდი

ქართველოლოგიური კვლევების პიონერი გერმანიაში: იგნაც რუკერისა და კორნელი კეკელიძის მიმოხილვა 44

ალექსეი კაშჩაევი

რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფონდების დაცვის მიმართულებები 46

ვლადიმერ კაქალია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერების ფონდის ჩამოყალიბების ისტორიიდან 48

ლია კიკნაძე, მიხეილ ქავთარია,
ლილი ხავსურიანი, ლალი ჯღამაია
ათონის ივირონი – ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო
კერა (ივირონის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია)..... 50

დარეჯან კლდიაშვილი
ქართული სამონასტრო სულთა მატრიანეები
(კვლევის შედეგები)..... 52

ეკვთიმე კოჭლამაზაშვილი
ეფრემ მცირის შენიშვნა წმ. ბასილი კესარიელისა და წმ. ეფრემ
ასურის მიერ ორმოცი სებასტიელი მონაშის შესასხმელად
წარმოთქმული ჰომილიების ურთიერთმიმართების შესახებ..... 56

მიროსლავ პ. კრუკი
ქართული ხელნაწერები კრაკოვის ჩარტორიისკების
ბიბლიოთეკაში..... 58

ჰიროტაკა მავდა
საქართველოსა და სეფიანთა ირანის ურთიერთობების კვლევა
ფაზლის ცნობებზე დაყრდნობით: რა იყო გიორგი სააკაძის
სეფიანთა კარზე წასვლის მიზეზი? 59

ავოსტოლოს გ. მანტასი
„ზღვის დაყუდება“ მოქვის სახარებაში და ქარის
პერსონიფიკაცია ბიზანტიურ ხელოვნებაში..... 61

ჰაირაპეტ მარგარიანი
ალასტანის მეფეები სომხური და ქართული
პირველწყაროების მიხედვით..... 63

პარმენ მარგველაშვილი
„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტები
და წერეთლისეული ნუსხა..... 65

ელენე მაჭავარიანი
ქართული სამსახოვანი ანბანის მხატვრული თავისებურებანი
ქართული ხელნაწერების მიხედვით..... 67

გიორგი მაჭარაშვილი
ქართული ეროვნული იდენტობა ჰაგიოგრაფიული
და ჰიმნოგრაფიული ტექსტების მიხედვით..... 70

ია მელნიკოვა
ამიერკავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მონყობის
შესახებ შექმნილი კომისიის მუშაობა 1917-1918 წლების
რუსეთის ადგილობრივი კრების ფარგლებში (რუსეთის
სახელმწიფო და რუსეთის სახელმწიფო საისტორიო
არქივების მასალების მიხედვით)..... 72

შორენა მურუსიკა
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართველ
ემიგრანტთა არქივები (მნიშვნელობა და დამუშავების
თავისებურებები)..... 74

აია ნინიკა
ხელნაწერთა გენეტიკური კვლევის უახლესი მეთოდი და მისი
მნიშვნელობა ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად..... 76

ნუზარ ავაშაშვილი
პავლე სვეტლოვი – კალისტრატე ცინცაძეს
შოთა რუსთაველის შესახებ..... 78

თამარ პატარიკა, ვერონიკ სომერსი
გრიგოლ ნაზიანზელი: ლუვენ-ლა-ნევი – თბილისი,
გამოცემა – სიმფონია..... 80

აია რაფავა
ტაო-კლარჯეთიდან ათონამდე, ათონიდან – გელათამდე:
ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა
კვლევები..... 81

მარლ რენუ
იადგარი: მისი ისტორიული, ლიტურგიკული და
საღვთისმეტყველო მნიშვნელობა..... 83

ტატიანა საზინანა
სამეცნიერო რესტავრაციისა და გრაფიკის კონსერვაციის
ლაბორატორიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები..... 84

ტიმოთი სვილორსი
ქართული თარგმანით შემონახული II საუკუნის ქრისტიანული
მწერლობის ძეგლები ძველ ქართულ ხელნაწერებში
(მოკლე მიმოხილვა)..... 86

ქეთევან ტატიშვილი, ნინო ქავთარია

დასურათებულ ხელნაწერებში დაცული მინიატიურების შესწავლის ახალი მიმართულებები და მეთოდები..... 87

პარნა უტია

სინას მთის ქართული ხელნაწერები №84 და №90: მათი რაობის ახლებური გააზრება 89

თაა ქართველიშვილი, თამარ ქორიკა

ქართლისა (აღმოსავლეთ საქართველოს) და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსები და მათი ტიტულატურა XV-XVIII საუკუნეებში 90

თინათინ ქრონცი

იმპერატორები და წყალი: სიახლეები იერუსალიმური კურთხევანის პროექტის შესახებ..... 93

ელენა ჩაპალი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პაპირუსზე შესრულებული გამოუქვეყნებელი დოკუმენტები გრიგოლ წერეთლის კოლექციიდან 95

ნინო ციციშვილი

კულტურათა გზაჯვარედინზე: XVIII-XIX საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელნაწერის შემკულობა 97

თამარ ჭუმბურიკა

ქართველოლოგიის ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო: იულიუს ასფალგის პირადი წერილები 99

ლელა ხაჩიკა

რომანოზ მელიქიანის საგალობლების ძველი ქართული თარგმანები..... 101

თეიმო ჯოჯუა

ტაო-კლარჯეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები: მერენესის ეკლესიის 954 წლის წარწერა 103

TAMAR ABULADZE

Manuscripts of Scientific Content: Interdisciplinary Study, Results and Prospects 105

IA AKHVLEDIANI, IRINA GOGONAIA, MAIA KARANADZE

The Repoussé Metal Covers of Old Georgian Manuscripts Preserved at the National Centre of Manuscripts: Results and Prospects of the Study.....108

NIKOLAZ ALEKSIDZE, BRYAN WARD-PERKINS

The Cult of Saints in late Antiquity Project: Documenting and Exploring the Development of the Cult of Saints Across the Christian World..... 110

EMILIO BONFIGLIO

From Byzantium to the Caucasus: John Chrysostom in Georgian 111

ALEKHSANDRE BOSHISHVILI, APOLON TABUASHVILI

Issues of Economic History of Georgia: Unpublished Materials Preserved in a Private Archive of Ivane Javakhishvili 112

ALESSANDRO MARIA BRUNI

The old Georgian Translation of the Book of Psalms and its Source-Text: Some Issues in Comparative Textual Criticism 114

ELENA CHEPEL

Unpublished Papyrus Documents in the Archive of Grigol Tsereteli at the Georgian National Centre of Manuscripts 115

DALI CHITUNASHVILI, KHATUNA GAPRINDASHVILI, TSITINO GULEDANI, IRMA KHOSITASHVILI, NATIA MIROTADZE

Georgian Palimpsests at the Georgian National Centre of Manuscripts..... 116

TINATIN CHRONZ

Emperors and Waters: News from the Jerusalem Euchologion Project.... 118

EKA DUGASHVILI

Unknown Georgian Manuscripts from Monasteries of Mount Athos (St. Panteleimon and Simonopetra)..... 120

NATIA DUNDUA	
Importance of the Georgian Version of the Book of Tobit for Textual Criticism of the Bible.....	122
TAMAR DVALISHVILI, LEILA GOTSIRIDZE, ASMAT GVAZAVA, SOPIO TSERTSVADZE	
The Results of the Scientific Study of the Conservation and Restoration of the Written Heritage	123
GAYANE ELIAZIAN	
Restoration of Severely Damaged Monuments of Written Culture in Matenadaran	125
GILLIAN EVISON	
Managing the Bodleian Libraries' Georgian Collection in the 21 st Century.....	126
SHALVA GLOVELI	
Digital humanities and Georgian National Center of Manuscripts	128
LALI JGAMAIA, MIKHEIL KAVTARIA, LILI KHEVSURIANI, LIA KIKNADZE,	
Ivion of Athos: Georgian Cultural and Educational Center (Collection of Georgian Manuscripts in Ivion).....	130
IZOLDA JIKIDZE, REVAZ KLDIASHVILI, SHORENA TAVADZE	
Morphological and Ultimate Analysis of the Ink	132
TEMO JOJUA	
Georgian Epigraphical Monuments of Tao-Klarjeti: Inscription of Merenesi Church, Dated to 954.....	134
TEA KARTVELISHVILI, TAMAR KORIDZE	
Catholicoi of Kartli (East Georgia) and Apkhazeti (West Georgia) and their Titles in the 15 th -18 th Centuries.....	136
ALEKSEI KASHCHEEV	
Work Trends on Stocks Preservation of the Russian State Library	138
HUBERT KAUFHOLD	
A Pioneer of Georgian Studies in Germany. The Correspondence Between Ignaz Rucker and Korneli Kekelidze.....	140
NINO KAVTARIA, KETEVAN TATISHVILI	
The New Directions and Methods for the Study of Miniatures from Illuminated Manuscripts	141

VLADIMER KEKELIA	
From History of Acquisition of the Collection of Georgian Manuscripts at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.....	142
LELA KHACHIDZE	
Old Georgian Translations of Romanos the Melodist's Hymns.....	144
DAREJAN KLDIASHVILI	
The Georgian Monastery Synodal Records (Results of the Study).....	145
EKVTIME KOTCHLAMAZASHVILI	
Ephrem Mtsire's Note about Interrelation of St. Basil of Caesarea and St. Ephrem the Syrian's Homilies to Forty Martyrs of Sebaste.....	148
MIROSLAW P. KRUK	
Georgian Manuscripts in the Czartoryski Library in Krakow.....	150
GIORGI MATCHARASHVILI	
Traces of Georgian National Identity in Hagiographical and Hymnographical Texts	151
ELENE MATCHAVARIANI	
Artistic Features of three Writing Systems of the Georgian Alphabet in the Georgian Manuscripts.....	153
HIROTAKE MAEDA	
Studies on the Georgian-Safavid Relations on the Basis of Fazli's Information: How Giorgi Saakadze Defected to the Safavid Court?	155
APOSTOLOS G. MANTAS	
Calming of the Storm in the Mokvi Gospel and Personifications of Winds in Byzantine Art	156
HAYRAPET MARGARYAN	
Kings of Alastan According to Armenian and Georgian Primary Sources..	157
PARMEN MARGVELASHVILI	
Versions of Manuscripts of "The Man in the Panther's Skin" and the Tsereteli List.....	158
IA MELNIKOVA	
Commission's Work on the Issues of Orthodox Church Structure in the Transcaucasus in 1917-1918 under the Auspices of the Local Church Meeting of Russia (According to the Materials Held at State Archive and State Historical Archive of Russia).....	160

SHORENA MURUSIDZE	
Archives of Georgian Emigrants Held at Georgian National Centre of Manuscripts (Significance and Peculiarities of their Processing)	161
MAIA NINIDZE	
The Modern Method for the Genetic Study of Manuscripts and its Importance for the Study of Georgian Manuscripts.....	163
BERNARD OUTTIER	
Ms. Sinai Geo. №84 and №90: New Lights on the Content.....	165
NUGZAR PAPUASHVILI	
Letter of Pavel Svetlov to Kalistrate Tsintsadze about Shota Rustaveli.....	166
TAMAR PATARIDZE, VERONIQUE SOMERS	
Gregory Nazianzen: Between Louvain-La-Neuve and Tbilissi, Between Editions and Concordances.....	168
MAIA RAPAVA	
From Tao-Klarjeti to Athos, from Athos to Gelati: Georgian-Armenian Literary Relations	169
CHARLES RENOUX	
The Iadgari: Its Historical, Liturgical and Theological Significance.....	171
TATIANA SABYANINA	
Main Work Trends of the Laboratory of Scientific Restoration and Conservation of Graphics.....	172
TIMOTHY B. SAILORS	
Second-century Christian Literature Preserved in Georgian Translation: A Brief Survey of the Manuscript Witnesses	174
TAMAR TCHUMBURIDZE	
A Significant Source For History Of Kartvelology: Personal Letters Of Julius Assfalg.....	175
NINO TSITSISHVILI	
On the Crossroad of Cultures: Decoration of Georgian Church Manuscripts Dating to the 18 th -19 th Centuries.....	177
OLGA VASILYEVA	
Georgian Manuscripts in the National Library of Russia: Towards the History of Acquisitions	178

თამარ აპულაქა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

სამეცნიერო შინაარსის ხელნაწერები: ინტარდისციპლინური კვლევა, შედეგები და პერსპექტივები

სამეცნიერო შინაარსის ხელნაწერები, როგორც მულტიკულტურული ფენომენი, მოიცავს მრავალდარგოვან ცოდნას, ასახავს მისი გავრცელების, განვითარებისა და ტრანსფორმაციის შედეგებს, განპირობებულს კულტურული და ისტორიული კონტექსტით. თეორიული, ემპირიული ცოდნითა და გამოცდილებით, პრაქტიკული მიზანდასახულებით შექმნილი ეს მასალა (დასავლური და აღმოსავლური, მუსლიმური) მოითხოვს ინტერდისციპლინურ კვლევას, სისტემატიზაციას, საგანგებო ისტორიულ-სამეცნიერო შესწავლას, შეჯერებულს კოდიკოლოგიის, ისტორიის, ენათმეცნიერების, ბუნებისმეტყველების, სამედიცინო, ზუსტი მეცნიერებებისა და სხვა დარგების კვლევის მეთოდებით. ამასთანავე, თანამედროვე ეტაპზე ამ ტიპის კვლევა მოითხოვს ელექტრონული პროდუქტების შექმნას, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ფართო გავრცელებას, მათი გამოყენების შესაძლებლობას გაღრმავებული კვლევისათვის.

საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცულია ადრეული და გვიანი შუა საუკუნეების ქართული და არაბულ-სპარსული სამეცნიერო შინაარსის მრავალდარგოვანი და მდიდარი ხელნაწერი მასალა – სამეცნიერო ინფორმაციისა და უნიკალური მონაცემების შემცველი ძეგლები, ცალკეული თხზულებები, ხელ-

ნანერი კრებულები, სპეციალური ლექსიკონები, საგანმანათლებლო ანთოლოგიები, ენციკლოპედიები და სხვ. ამ მასალის ინტერდისციპლინური კვლევა დაწყებულია, კერძოდ:

ა) განხორციელდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ილიას უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი – „ქართული, სპარსული და არაბული ასტრონომიული ხელნაწერები საქართველოში“ (ხელმძღვ. ირაკლი სიმონია, შემსრულებლები: თამარ აბულაძე, ლიანა სამყურაშვილი, ნესტან ჩხიკვაძე, ქეთევან პატარიძე, გიორგი მელაძე). პროექტი განხორციელდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით. მის ფარგლებში შემსრულებელთა ჯგუფმა გააანალიზა 300-ზე მეტი ქართული, 60 არაბული და სპარსული ასტრონომიული ხელნაწერი – ორიგინალური შრომები, თარგმნილი და კომენტარული შინაარსის ძეგლები: ასტრონომიული თხზულებები, ასტრონომიული შინაარსის ფრაგმენტები, ჩართული სასულიერო, საერო, შერეული ტიპის ხელნაწერ კრებულებში და ცალკეულ ფრაგმენტებად წარმოდგენილი მასალა; სხვადასხვა ტიპის კრებულები, რომლებიც შეიცავს ასტრონომიულ მონაკვეთებს ან დასრულებულ ასტრონომიულ ნაშრომს; ასტრონომიულ-ასტროლოგიური შრომები, რომლებშიც ჭარბობს ასტრონომიული შინაარსი.

პროექტის განხორციელების შედეგად, გამოიცა ელექტრონული წიგნი – „ასტრონომიული ხელნაწერები საქართველოში“, რომლის ძირითადი ნაწილი მონაცემთა ინტერაქტიული ბაზაა. ის შეიცავს მდიდარ ტექსტურ და გრაფიკულ ინფორმაციას, კატალოგებს, ცხრილებს, მითითებებს და სხვ. ქართული ასტრონომიული ხელნაწერები შეადგენს ბაზის ძირითად ნაწილს, რომელშიც ასახულია მონაცემები გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის მიერ X-XII საუკუნეებში შესრულებული იოანე დამასკელის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკური თხზულებების თარგმანების, იოვანე-ზოსიმეს კალენდარული ნაშრომის (X ს.), აბუსერიძე ტბელის ორიგინალური ასტრონომიულ-კალენდარული შინაარსის თხზულების (XIII ს.),

ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი და თარგმნილი ასტრონომიული მასალის (XVIII ს.), ანტონ I-ის მიერ ვოლფის და ბაუმაისტერის შრომების თარგმანებისა და სხვათა შესახებ. არაბული და სპარსული ასტრონომიული მასალიდან წარმოდგენილია ისეთი ავტორების კლასიკური შრომები, როგორებიცაა: ულუღბეგი, ნასირ ედ-დინ ტუსი, ‘ალი ყუშჩი, ალ-ბირჯანდი, ას-სუფი და სხვები. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა აგრეთვე კატალოგი და ორი ბროშურა.

ბ) 2017 წელს დაიწყო პროექტის – „სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში“ (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით) – განხორციელება. პროექტი გულისხმობს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ დაცული ქართული სამედიცინო ხელნაწერების (ზოგადთეორიული შრომების, კარაბადინების, კრებულებში დაცული მასალის – სამედიცინო ხასიათის ცნობების, მინაწერების, რეცეპტების) ინტერდისციპლინურ კვლევას, რომელშიც ჩართული არიან ცენტრის თანამშრომლები – კოდიკოლოგები, ქიმიკოსი, ისტორიკოსი (ლიანა სამყურაშვილი, თამარ აბულაძე, ირინა გოგონაია, ნათია ხიზანიშვილი) და დარგის სპეციალისტები (ვეტერინარი და ფარმაცოლოგი); ელექტრონული რესურსის – ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა მონაცემთა ბაზის შექმნას და საკვანძო მნიშვნელობის მქონე ხელნაწერთა დიგიტალიზაციას; ხელნაწერებში დაფიქსირებული ენდემური ჯიშებისა და მასალის საუძველზე, ახალი ფარმაცევტული პროდუქტის შექმნას, საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტების დაცვით (სამკურნალო საშუალებების შექმნა-მიღება და წინაკლინიკური კვლევა); საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებას – სამაგისტრო კურსი: „სამედიცინო ცოდნა ხელნაწერ მემკვიდრეობაში“; ქართული და ინგლისური ალბომი-კატალოგის გამოცემას. პროექტი დასრულდება 2020 წელს.

გ) ანალოგიურ კვლევას ვგეგმავთ ქართული, სპარსული და არაბული ქიმიურ-ტექნოლოგიური და მინერალოგიურ-გემო-

ლოგიური ხელნაწერების შესწავლის თვალსაზრისით. კვლევა მოიცავს კოდიკოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეების, მინერალოგისა და ქიმიკოსის მიერ ისეთი მრვალმხრივ საინტერესო კრებულების მონაცემების გაანალიზებას, როგორებიცაა: „შატბერდის კრებული“ (X ს.), ვახტანგ VI-ის ავტორობით შექმნილი უნიკალური შრომა „ნიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ (XVIII ს.) და სხვ. ასევე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სპარსულ და არაბულ ხელნაწერთა კოლექციებში დაცული ისლამური მეცნიერების სხვადასხვა დარგის, მათ შორის, ალქიმიის, თეორიული და პრაქტიკული ქიმიის, მინერალოგიური ცოდნის ამსახველი ცალკეული თხზულებები, ტექსტები, ენციკლოპედიები, სპეციალური ლექსიკოგრაფიული მასალა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები, უმეტეს შემთხვევაში, სრულიად უცნობია ფართო სამეცნიერო წრეებისათვის, არ არის გამოცემული, არ არის შესწავლილი დარგისა და, ზოგადად, მეცნიერების ისტორიის კუთხით.

სამეცნიერო ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა, მასალის მეცნიერული ღირებულების განსაზღვრა და შეფასება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ბეჭდური და ელექტრონული პროდუქტების მომზადება, სპეციალური საგანმანათლებლო კურსების ჩართვა უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში, ხელნაწერებში დაფიქსირებული მონაცემების პრაქტიკული განხორციელება, აღნიშნული ცოდნის პოპულარიზაცია და გავრცელება ხელს შეუწყობს მეცნიერების სხვადასხვა დარგის ისტორიის სურათის შევსებას ახალი მონაცემების, სახელების, მასალის ფონზე; ამასთან, გამოკვეთს ქართული და ახლო აღმოსავლეთის კულტურული არეალის ისტორიულ-სამეცნიერო კონტაქტებსა და საერთო ტენდენციებს.

ნიკოლოზ ალექსიძე, ზრინან უორდ-პეარკინსი

ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)

პროექტი „წმინდათა კულტი გვიან ანტიკურ პერიოდში“: ქრისტიანულ სამყაროში წმინდათა კულტის განვითარების დოკუმენტირება და კვლევა

მოსხენებაში განხილული იქნება ევროპის კვლევის საბჭოს პროექტი, რომელზეც მუშაობა ოქსფორდში 2014 წლის იანვრიდან მიმდინარეობს და წელს დეკემბერში უნდა დასრულდეს. ამ პროექტის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ტიპის მონაცემების (წარწერების, ნაკანრი წარწერების, ფორმალური ჰაგიოგრაფიის, ისტორიულ ტექსტებში წმინდანებისა და მათი კულტის ხსენებების, ადმინისტრაციულ დოკუმენტებში შემთხვევითი დამონებების და ა. შ.) თავმოყრა ქრისტიან წმინდანთა კულტის ადრეულ პერიოდში განვითარების შესახებ, მოყოლებული წმინდანთა კულტის საწყისებიდან IV საუკუნეში, ვიდრე ახ. წ. 700 წლამდე (ანუ იმ დრომდე, როცა წმინდანთა კულტთან დაკავშირებული ყველა ტრადიცია უკვე მყარად იყო დამკვიდრებული). ბაზაში შეგვაქვს ქრისტიანულ სამყაროში არსებულ, დამწერლობის მქონე ყველა ენაზე შესრულებული მასალა. ესაა სომხური, კოპტური, ქართული, ბერძნული, ლათინური და სირიული ენები. პროექტის საფუძველთა საფუძველია საძიებო მონაცემთა ბაზა, რომელზეც მუშაობა ჯერ არ დასრულებულა, თუმცა, მის წვდომა უკვე თავისუფლად შეიძლება: <http://csla.history.ox.ac.uk/>. ბაზაში შეტანილი ყველა მონაცემი მოცემულია ორიგინალის ენაზე, აგრეთვე ინგლისური თარგმანის სახით და დართული აქვს მოკლე კომენტარი, რომელიც კონტექსტში ჯდება. აგრეთვე,

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს მონაცემები ხელმისაწვდომია, რაც იძლევა სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, მათი მოძიების შესაძლებლობას.

მოხსენებაში განხილული იქნება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ამბიციები, პრობლემები და მუშაობის პროცესში მიღებული ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი წინასწარი დასკვნა. აქცენტი გაკეთდება იმაზე, თუ როგორ ჰფენს ნათელს ფართო ქრისტიანული მასშტაბით წარმოებული კულტის საკითხების კვლევა იმ ტრადიციებს, რომლებიც ერთ რომელიმე კონკრეტულ რეგიონში არსებობს, აგრეთვე ათალსაჩინოებს ზოგიერთი წმინდანის წარმატებას თუ წარუმატებლობას საერთაშორისო აღიარების პროცესში.

ია ახვლედიანი, ირინა გოგონაია, მაია კარანაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ხელნაწერების ჭედური ყდაები: კვლევის შედეგები და პერსპექტივები

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ უნიკალურ ხელნაწერებს შორის, აღსანიშნავია მოჭედილ ყდაში ჩასმული ქართული ხელნაწერები. მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი „ოქროს ხანის“ ეპოქის, XI-XIII საუკუნეების, მოჭედილ და მდიდრულად შემკულ ხელნაწერებს უჭირავს. წყაროსთავისა და ბერთის სახარებების ყდები შექმნილია ბეჟა და ბეშქენ ოპიზარების მიერ. ქართული ჭედური ყდების ამ უნიკალური ნიმუშების მიმართ ინტერესი დიდია, როგორც კვლევითი, ისე საექსპოზიციო თვალსაზრისით.

აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში განხორციელდა პროექტი „უძველესი ქართული მოჭედილი ძეგლების დიაგნოსტიკა (XI-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერები)“, რომელიც ითვალისწინებდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 60-მდე მოჭედილყდანი ხელნაწერის ყდების დეტალურ შესწავლას და ინტერდისციპლინურ კვლევას. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა ყდების კვლევის ერთიანი მიდგომა, შესწავლილ იქნა 56 მოჭედილი ყდა, იდენტიფიცირდა 919 თვალი. ქართული ხელნაწერების მოთვალული ჭედური ყდების შესწავლა პირველად პროფესიულ გემოლოგიურ კვლევას დაემყარა, რის საფუძველზეც, ყდების არქეოგრაფიულ აღწერაში შევიდა მეცნიერულად დადასტურებული ინფორმაცია თვლების

რაობის შესახებ. არანაკლებ ნაყოფიერი აღმოჩნდა მეტალის ანალიზი XRF ანალიზატორის გამოყენებით.

ნარმოდგენილ მოხსენებაში, უმთავრესად, განხილულია მეტალზე ჩატარებული კვლევის შედეგები:

1. უძველესი ქართული ხელნაწერების ჭედურ ყდებზე აღინუსხა XVII-XIX საუკუნის დამლები, რამაც, კოდიკოლოგიურ კვლევასთან ერთად, საშუალება მოგვცა, განგვესაზღვრა ყდების დამზადების ზუსტი თარიღი, დამზადების ადგილი, რიგ შემთხვევაში ოსტატის ინიციალები და სხვ. აღნიშნული მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურულ ინფორმაციას შეიცავს და შეიძლება, ცალკე კვლევის საგანი გახდეს.

2. კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არაინვაზიური მეთოდით, რენტგენულ-ფლუორესცენტული ანალიზატორის გამოყენებით, ნახევრად რაოდენობრივად, შესწავლილ იქნა ჭედური ყდების ქიმიური შედგენილობა. შეიჩა 33 ყდა და მათზე დაისინჯა 60 ნერტილი, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა არა მხოლოდ მეტალის სახეობა, რაც ცნობილი იყო ხელნაწერთა აღწერილობებიდან, არამედ – შენადნობის სრული შემადგენლობა და სინჯი.

ზემოაღნიშნული გვეხმარება ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორებიცაა: მეტალის ყდების ასაკობრივი დიაპაზონი, დამზადების ადგილი, ოქროს საფარის სისქის დადგენა, დამზადების ტექნოლოგიური თავისებურებები, რესტავრირებული და ორიგინალური ნაწილების გამოვლენა, ან გამოვლენილი ნაწილების დადასტურება.

აღნიშნული პროექტის შედეგები სახავს საინტერესო პერსპექტივებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კულტურული მემკვიდრეობის კვლევაში ინტერდისციპლინური მიდგომებისა და არაინვაზიური ინსტრუმენტული მეთოდების დანერგვის თვალსაზრისით.

აილიო ჰონვილიო

ვენის უნივერსიტეტი (ავსტრია)

ბიზანტიიდან კავკასიამდე: იონანე ოქროპირი ქართულად

ახალი აღთქმის ტექსტისა და გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების შემდეგ, თხზულებათა ბერძნულენოვანი კორპუსი, რომლის ავტორად იონანე ოქროპირს მოიაზრებენ, შუა საუკუნეების ყველაზე ხშირად გადაწერილი ხელნაწერია. ახალი აღთქმისა და გრიგოლ ნაზიანზელის მსგავსად, იონანე ოქროპირის თხზულებების ბერძნული ვერსიების გარდა, არსებობს საკმაოდ ადრეული თარგმანები ლათინურ ენასა და ფაქტობრივად, ძველი ქრისტიანული აღმოსავლეთის ყველა ენაზე: არაბულ, სომხურ, კოპტურ, ეთიოპურ, ქართულ და სირიულ ენებზე.

ნარმოდგენილი მოხსენება იონანე ოქროპირის თხზულებების ქართულ თარგმანებს შეეხება. კერძოდ, აქცენტი სამ ასპექტზე გაკეთდება: 1. კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, რაც შემდეგს გულისხმობს: მიმოხილული იქნება, რა არის ცნობილი „ქართული“ ოქროპირის შესახებ, რა საკითხებია შესწავლილი და რა მიჯნებშია აღიარებული იონანე ოქროპირის თხზულებათა ქართულენოვანი კორპუსი; 2. კვლევის საშუალებები – ანუ მოხსენებაში შევხებით იმას, თუ რომელი ბიბლიოგრაფიული მასალის მოხმობაა შესაძლებელი მკვლევარების მიერ იონანე ოქროპირის თხზულებების ქართული კორპუსის შესწავლის პროცესში; 3. ახალი შესაძლებლობები მომავალი კვლევისათვის – ანუ შემოთავაზებული იქნება სასურველი მიზანი, რომელიც მოკლე ხანში უნდა იყოს მიღწეული. აგრეთვე, განხილული იქნება ის საკითხე-

ბი, რომლებიც შემდგომი კვლევისთვის იქნება განსაკუთრებით საყურადღებო.

ამგვარად, წარმოდგენილი მოხსენების ამოცანა არის არა იოანე ოქროპირის თხზულებების ქართული თარგმანების კვლევის ახალი შედეგების გახმოვანება, არამედ მკვლევართა საფუძვლიანი დაკვალიანება ამ საკითხთან დაკავშირებით, მომავალში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.

ალექსანდრა ზოზიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხები – აკად. ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში დაცული გამოუქვეყნებელი მასალები

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, ისევე როგორც უამრავ სხვა საისტორიო დარგსა თუ დისციპლინას, საფუძველი ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა. ჯერ კიდევ 1907 წელს დაიბეჭდა მისი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ (ტფილისი, 1907), სადაც მოკლედ დაისვა საკითხები, რომლებიც მომავალი კვლევის საგანი უნდა გამხდარიყო.

ავტორმა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ნაშრომით: „ქართული საფას-საზომ-თამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“ (ტფილისი, 1925). ხოლო, 1930 და 1934 წლებში ივანე ჯავახიშვილმა გამოსცა „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ პირველი და მეორე წიგნები. აღნიშნულ გამოცემებში განხილულია საქართველოს ეკონომიკური ისტორიის წყაროები, ტერმინოლოგია და მოცემულია უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. 1964 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა, ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით, გამოსცა მეორე წიგნისათვის განკუთვნილი მასალა სათაურით: „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“. შემდეგ გამოიცა ივანე ჯავახიშვილის მიერ შეკრებილი ეკონომიკის ისტორიის ამსახველი წყაროები („საქართველოს ეკონომიკური ისტორიის

ძველები“, ნიგნი I, თბ., 1967; ნიგნი II, თბ., 1974.). უფრო ადრე, 1946 წელს – „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ (I, თბ., 1946 (მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში); II, თბ., 1965 (საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი); III-IV, თბ., 1962 (ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე, საომარი საქურველი და სამხედრო საქმე).

ივანე ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი ნიგნის შესავალ ნაწილში აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ფინანსების, ვაჭრობა-მრეწველობის, ქალაქების, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და მსგავსი საკითხების შესახებ, ინფორმაცია თავმოყრილი იქნებოდა ამავე ნაშრომის მესამე და მეოთხე ტომებში. სამწუხაროდ, დაანონსებული კვლევების გამოცემა ვერც ავტორის სიცოცხლეში მოხერხდა და არც შემდგომში განხორციელებულა.

აღნიშნული გამოკვლევები, ავტოგრაფის სახით, დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, NN296-311). საარქივო მასალას, უმეტესწილად, დასრულებული სახე აქვს. მასში თავმოყრილია უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები XII-XVIII საუკუნეებში;
- საფინანსო უწყება;
- ფასები, სამონასტრო, საფეოდალო და სახელმწიფო მეურნეობები;
- სატყეო და წყლის მეურნეობა;
- საქალაქო ცხოვრება, მოსახლეობა და დემოგრაფიასთან დაკავშირებული საკითხები;
- გადასახადები, ფულადი და ნატურალური მეურნეობა;
- საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები და სხვ.

თითქმის, ყველა ეს საკითხი ფუნდამენტურადაა გამოკვლეული. პრაქტიკულად, არქივის ამ ნაწილში თავმოყრილია „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ მესამე და მეოთხე ტომების მასალა. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი საკითხი ავტორის მიერ ბოლომდე დამუშავებული არ არის და, ზოგჯერ, მხოლოდ წყაროდან ამონაწერი მოცემული. თუმცა, მასალის ამ ნაწილის სამეცნიერო ღირებულება მაინც დიდია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მრავალი საკითხი, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის მიერაა გაშუქებული, დღემდე შეუსწავლელია.

მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება ზოგადი ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის ზემოთ აღნიშნული ნაწილის შესახებ.

ალესანდრო მარია ბრუნი

ვენეციის კა ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია)

„დავითნის“ ძველი ქართული თარგმანი და მისი წყარო: შედარებით ტექსტობრივი კრიტიკის ცალკეული საკითხები

მოსხენებაში განხილულია ფსალმუნების ადრეული, ათონამდელი ქართული თარგმანის ტექსტების თავისებურებანი. ეს ტრადიცია სათავეს იღებს არაუგვიანეს V საუკუნისა. ტექსტი ორი რედაქციითაა შემონახული. უძველესი ქართული დავითნის ტექსტის კრიტიკისადმი ბოლოდროინდელმა მიდგომამ, გადააფასა შეხედულება მისი კავშირის შესახებ სომხურ ტრადიციასთან და ქართული ტექსტის სეპტუაგინტასთან კავშირის დამადასტურებელი სრულიად ახალი სამხილები გამოავლინა.

წარმოდგენილი მოსხენების ამოცანა დღემდე ნაკლებად შესწავლილი ტექსტობრივი საკითხების ახლებურად წარმოჩენაა. აქცენტი კეთდება ზოგიერთ დასავლური ტიპის წაკითხვაზე, რომლებიც დავითნის ორივე ათონამდელ ქართულ რედაქციაში უნდა დაიძებნოს. ავტორი გვთავაზობს ქართული დავითნის ტექსტური თავისებურებების წარმოშობის საკითხის შესწავლისადმი ახალ მიდგომას, რაც შესაძლოა, რელევანტური იყოს ბიბლიური ტექსტების ამ კონკრეტული კორპუსის ამოსავალი ტექსტის დასადგენად.

ქართული ტექსტის რამდენიმე მონაკვეთის ანალიზმა გამოავლინა ტექსტობრივი მსგავსებები არა მხოლოდ *Vetus Latina*-სთან, არამედ ძველ საეკლესიო სლავურ თარგმანთანაც, რომელიც კირილესა და მეთოდეს პერიოდით (863-885 წწ.) თარიღდება.

ამ უკანასკნელში იძებნება ქართული დავითნის ცალკეული საკითხავების ეკვივალენტები, რომლებსაც აშკარად არ ეძებნებათ პარალელი ბერძნულ ვერსიაში. არსებული ტექსტობრივი მსგავსებები ქართულ და ძველ საეკლესიო სლავურ დავითნებს შორის, შესაძლოა აიხსნას ორივესთვის საზიარო საკითხავების რომელიმე საერთო, ჯერ კიდევ დაუდგენელი ან დაკარგული ბერძნული წყაროდან შესრულებული თარგმანების კითხვა-სხვაობებით. წყაროების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენა იმ მოსაზრების მხარდასაჭერად, რომ ფსალმუნების უძველესი ქართული რედაქცია ბერძნული ორიგინალიდან მომდინარეობს.

**სათუნა გაფრინდაშვილი, ციციანო გულადანი,
ნათია მიროტაძე, დალი ჩიტუნაშვილი,
ირმა სოსიტაშვილი**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)*

**ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა
ეროვნულ ცენტრში**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდში ქართული პალიმფსესტების ყველაზე დიდი რაოდენობა – 5000-მდე პალიმფსესტური ფურცელია დაცული (A ფონდში დაცულია 17 პალიმფსესტური ხელნაწერი; H ფონდში – 65, S ფონდში – 6, Q ფონდში კი – 10 ხელნაწერი. ამას ერთვის 23 სვანური პალიმფსესტი, ერთი პალიმფსესტი ფრაგმენტების ფონდში (Fr 184) და ისტორიულ დოკუმენტთა ფონდში დაცული ორი პალიმფსესტი).

ხანმეტი ტექსტების შემცველი უკვე ცნობილი ხელნაწერების გარდა, პალიმფსესტებზე მუშაობისას გამოვლინდა სამი უცნობი ხანმეტი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთ-ერთი უძველესი ხანმეტი მრავალთავის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

ხელნაწერების კვლევის პროცესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შუა საუკუნეების მწიგნობრების მიერ იფხიკებოდა და ირეცხებოდა ისეთი ტექსტების შემცველი ხელნაწერები, რომლებიც აღარ შეესაბამებოდა ახალ ლიტურგიკულ ტრადიციასა თუ ლიტურატურულ გემოვნებას. ამიტომაც პალიმფსესტებში, უმეტესწილად, ვხვდებით იერუსალიმური ღვთისმსახურების ამსახველ უნიშვნელოვანეს ტექსტებს: იერუსალიმური განჩინების

(ლექციონარის) და უძველესი იადგარის ტექსტებს (შესრულებულს როგორც ასომთავრული, ასევე ნუსხური დამწერლობითაც).

ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება პალიმფსესტებში დაცული ჰომილეტიკური და ჰაგიოგრაფიული ტექსტები. ჰომილეტიკური ტექსტებიდან პალიმფსესტებში შემდეგი საკითხავები გამოვლინდა: „თქუმული იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ კონსტანტინეპოლელისაჲ მკუდრეთით აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა“, იოანე ოქროპირის „მოთმინებისათჳს და ამის სოფლისა აღსასრულისათჳს და მოსღვისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა მეორედ განსჯად ცხოელთა და მკუდართა, წიგნის კითხვისათჳს და დაყუდებისა“ და სხვ. ჰაგიოგრაფიული ტექსტებიდან კი განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „სვიმეონ მესვეტის ცხოვრების“ შემცველი ასომთავრულით დაწერილი პალიმფსესტის I ფურცელი და ასომთავრულითვე გადაწერილი „ბალავარიანის“ ტექსტი.

საინტერესო და მრავალფეროვანია პალიმფსესტთა პალეოგრაფიაც, რაც დამატებით მასალას გვაძლევს ქართული დამწერლობის განვითარების შესასწავლად.

**ასამთი გვაზავა, ლაილა გოცირიძე,
თამარ ღვალიშვილი, სოფიო ცარცვაძე**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)*

**წერილობითი მემკვიდრეობის კონსერვაცია-
რესტავრაციის სამეცნიერო კვლევების შედეგები**

სასტენდო მოხსენება ეხება წერილობითი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაცია-რესტავრაციის საკითხებს; რესტავრაციის ტექნიკის, ტექნოლოგიების, მეთოდოლოგიის პრობლემებს; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიაში მიმდინარე და გასული წლების განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგებს. კერძოდ, მოხსენებაში განხილულია თემები:

- ქალაქისა და ეტრატზე შესრულებული, მოხატული ხელნაწერების მინიატიურების მდგომარეობის კვლევა. თემა წარმოდგენილია მოქვის (Q-902) ოთხთავის მინიატიურების კონსერვაციისა და პიგმენტების ნიმუშებზე ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. ის შედარდა მოხატული აღმოსავლური ხელნაწერების კონსერვაციის პროცესში გამოვლენილ თავისებურებებთან. აგრეთვე, განხილულია ალტერნატიულ საფუძველზე შესრულებული მინიატიურების რესტავრაციის პროცესის სპეციფიკა და საბოლოო შედეგები.
- ეტრატის რესტავრაციის ტექნიკა შუა საუკუნეების საქართველოში და მისი განვითარება. ჩვენ მიერ წარმოდგენილია 2012-2017 წლებში ჩატარებული ეტრატზე შესრულებული რო-

გორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი ხელნაწერების ტექტილურ-ვიზუალური შესწავლისა და რესტავრაციის მეთოდების კვლევის შედეგები.

- ლუქების კონსერვაცია-რესტავრაცია. საკითხი ეხება ხელნაწერზე დასმული ისტორიული ბეჭდებისა და ლუქების საკონსერვაციო-სარესტავრაციო და ქიმიურად დამუშავება – ანტისეპტირების საკითხებსა და მათი შემდგომი დამუშავების თავისებურებებს, სფრაგისტიკის საერთაშორისო კომიტეტისა და იუნესკოს მიერ მიღებული ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

- ტყავის ყდის რესტავრაცია-კონსერვაციის მნიშვნელობა სარესტავრაციო მასალისა და მეთოდის სპეციფიკის გათვალისწინებით. საკითხი ემყარება 2013-2017 წლებში ნაკვლევი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნის ყდების პირველადი დაზიანების კონსერვაციისა და რესტავრაციის თავისებურებებს, მისი როგორც მხატვრულ-ისტორიული იერსახის შენარჩუნების, ისე ყდის მთლიანობის აღდგენის პროცესებში წამოჭრილ სირთულეებს.

შალვა გლოველი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

ციფრული ჰუმანიტარია და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ციფრული/დიגיტალური ჰუმანიტარია (*digital humanities*) ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ინფორმატიკის მიჯნაზე აღმოცენებული სამეცნიერო დარგია, რომელიც ჰუმანიტარულ დარგებში თეორიული კვლევის დროს იყენებს ციფრულ (დიგიტალურ) რესურსებსა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. თანამედროვე ეპოქაში უფრო მეტად ინტეგრირდება ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინები კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან. ციფრული, დიგიტალური ჰუმანიტარიის, დიგიტალური ქართველოლოგიის მიმართულებებით საკმაოდ აქტიურია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიგიტალური ჰუმანიტარია ინტერდისციპლინური დარგია და გულისხმობს როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში თეორიულ ცოდნას, ისე ინფორმატიკის საბაზისო და სტანდარტული კვლევითი მეთოდების ფლობას. ამ მიმართულებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ერთობლივ პროექტებს ახორციელებენ ტექსტოლოგები, ნყაროთმცოდნეები და დიგიტალიზაციის ლაბორატორიის მეცნიერები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სტრუქტურა ციფრული და დიგიტალური ჰუმანიტარიის, ჰუმანიტარიისა და ციფრული/დიგიტალური მიმართულებების ერთობლიობის პრინციპს ემყარება. შესაბამისად, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ხორციელდება როგორც გამოყენე-

ბითი, ისე ცენტრის ფუნდამენტური მეცნიერებების შემსწავლელ სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა გულისხმობს შემდეგს:

○ დიგიტალიზაცია:

- ხელნაწერი მემკვიდრეობის (წიგნების, საბუთების, არქივების) ციფრული ასლების დამზადება;
- ხელნაწერის ტექსტის გამოყენების ეფექტური შესაძლებლობა;
- ხელნაწერი მემკვიდრეობის ორიგინალების დაცვის ეფექტური საშუალება.

○ ფონდების, კოლექციების ელექტრონული კატალოგიზაცია:

- საფონდო მასალის თემატური, დარგობრივი, ქრონოლოგიური და სხვა სახის ელექტრონული კატალოგების შექმნა;
- მასალის სწრაფი, ეფექტური მოძიება;
- სამეცნიერო შრომების შესრულების დროის შემცირება.

○ ელექტრონული კორპუსები:

- ხელნაწერი ტექსტების ციფრული ვერსიების შექმნა;
- ფრაგმენტული ტექსტის იდენტიფიკაცია.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არა მარტო იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს, არამედ აქტიურადაა ჩართული გამოყენებითი მეცნიერებების პროექტებში და თავადაც ქმნის ციფრულ ტექნოლოგიებზე დამყარებულ გამოყენებით პროდუქტს. ცენტრი ახორციელებს არა მხოლოდ ორიგინალი მასალის დიგიტალური ასლების შექმნას, არამედ იძლევა მათი გამოყენების ეფექტურ შესაძლებლობასაც. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შექმნილი:

○ სპეციალური საბაზო პროგრამები;

○ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შექმნილი ვებ-გვერდები.

ნათია ღუნდუა

გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტი (გერმანია)

ტობის წიგნის ქართული ვერსიის მნიშვნელობა ბიბლიის ტექსტუალური კრიტიკისთვის

ტობის წიგნი ბიბლიის ერთ-ერთი იმ წიგნთაგანია, რომელიც ებრაულ კანონში არ შესულა. სავარაუდოდ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ამ წიგნის ტექსტუალური მრავალფეროვნებისა სხვადასხვა ენაზე, რომელთა შორის ქართულიცაა.

ბერძნულად ჩვენამდე ტობის წიგნმა სამი ტექსტუალური ფორმით მოაღწია, ამათგან, ორი სრულადაა შემონახული (G^I და G^{II}), ხოლო ერთი – ნაწილობრივ (G^{III} (6.9-12.22)). ქართულადაც წიგნის სამი ვერსია არსებობს (OGeo (=OIDF), S, B), რომელთაგანაც უძველეს ტექსტს OGeo ინახავს.

ტობის წიგნის ბერძნული ტექსტის კრიტიკულ გამოცემაში (R. Hanhart 1983: *Septuaginta, Tobit, Göttingen, Vandenhoeck & Ruprecht*), სადაც ყველა მნიშვნელოვანი წყაროა შესული, ქართული ხელნაწერები არ არის გათვალისწინებული, რადგან მეორეულ თარგმანადაა მიჩნეული. გამოკვლევამ კი აჩვენა, რომ ძველი ქართული ვერსია ბერძნულიდანაა ნათარგმნი და ე.წ. G^{III}-ის ტიპის ტექსტს შეიცავს. G^{III} (სადაც შემორჩენილია) წარმოადგენს G^I-ისა და G^{II}-ის კომბინაციას და ასევე, აქვს საკუთარი იკითხვისები. G^{III}-ის ეს შერეული ხასიათი ვლინდება მთლიანი OGeo-ს მანძილზე, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ უნდა არსებულებოდა სრული G^{III} ტიპის ტექსტუალური ფორმა, რომლიდანაც ტობის წიგნი ქართულად ითარგმნა. მოხსენებაში ამ ვარაუდის დამტკიცებას კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ვეცდებით.

აკა ღუნაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

ათონის მთის სავანეების (წმ. პანტელეიმონისა და სიმონოპეტრას) უცნობი ქართული ხელნაწერები

ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერ კოლექციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული მნიგნობრობისა და ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიაში. საგულისხმოა, რომ ივირონის გარდა, ქართული ხელნაწერები, ძირითადად ფრაგმენტები, ათონის მთის სხვა მონასტრებშიც ინახება. მათ შორის, წმ. პანტელეიმონისა და სიმონოპეტრას სავანეებში. რამდენიმე წლის წინ ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების ციფრული ასლები მიიღო.

ჩვენი მოხსენება სწორედ ამ ხელნაწერების რაობას და ათონის სამნიგნობრო ტრადიციების კვლევის პერსპექტივისთვის მათ მნიშვნელობას ეხება.

სიმონოპეტრას მონასტერში დაცულია ოთხი ხელნაწერი: Geo. 151, 152, 153, 154.

ისინი, ძირითადად, ფრაგმენტებია – ორი ფურცელი და ორი აკინძული, მაგრამ დაზიანებული ნუსხა. ფრაგმენტები ბერძნულ ხელნაწერებში იყო ჩართული. ხელნაწერები ლიტურგიკული შინაარსისაა. ჩვენი დაკვირვებით, ერთი „მარხვანის“ ფრაგმენტი – შეიცავს აღდგომის სტიქარონებს და რედაქციულად გიორგი მთაწმიდელის „მარხვანის“ ტექსტთან დგება. Geo.152 ფსალმუნთა საკითხავების კრებულია, ნუსხის ნაკლებობისა და დაზიანების

გამო, ძნელია კრებულის ზუსტი დათარიღება, თუმცა უკეთესად შემორჩენილი ფსალმუნის ტექსტის ტიპოლოგიური შედარების საფუძველზე, ჩანს, რომ ხელნაწერი გიორგი მთაწმიდელისეული ფსალმუნის თარგმანის რედაქციისაა.

Geo. 153, 154 „თვენის“ ფრაგმენტებია (ივლისისა და დეკემბრის თვეების რამდენიმე ჰიმნოგრაფიული კანონი და სტიქარონები).

ხელნაწერები გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თვენების“ ფრაგმენტებია და ივირონის ნუსხებს ავსებს (დეკემბრის თვე), ხოლო მეორე ფრაგმენტი, სადაც ივლისის თვის საგალობლებია, ასევე გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თვენია“, თუმცა აქ საგალობელი რეპერტუარი უფრო გავრცობილია. გვხვდება ისეთი ტექსტებიც, რომლებიც ივირონის კოლექციის „თვენების“ ნუსხეებში არ დასტურდება, მაგ., წმ. კვირიკესა და ივლიტას, წმ. პეტრეს.

სიმონოპეტრას ხელნაწერები, ჩვენი დაკვირვებით, ტექსტების რედაქციულობის მიხედვით, XI-XII საუკუნეების უნდა იყოს.

საყურადღებო ნუსხები გვხვდება წმ. პანტელეიმონის მონასტერშიც, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეებისაა, აღმოჩენილია წმ. სტეფანეს სკიტში, სადაც ივირონიდან გამოძეგებული უკანასკნელი ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ. ამ ხელნაწერებიდან გამოვყოფთ ივერიის ღვთისმშობლის ხატის (პორტაიტისას) დაუჯდომლის „აკათისტოს“ ტექსტს, რომელიც რუსული ენიდან არის ნათარგმნი. ამაზე მიუთითებს ტექსტზე დართული რუსული ფრაზები და მათი ქართული თარგმანის რამდენიმე ვარიანტი. ტექსტის ანალიზმა ცხადყო, რომ თანამედროვე საეკლესიო პრაქტიკაში დამკვიდრებული „აკათისტოს“ ტექსტის ორიგინალი სწორედ წმ. პანტელეიმონის სავანეში დაცული ქართული ხელნაწერია. ხელთ გვაქვს სლავურიდან შესრულებული ქართული თარგმანის პროტოტიპი.

ამგვარად, ათონის სავანეებში არსებული აქამდე უცნობი ქართული ხელნაწერები ავსებს წმინდა მთის ქართული სამნიგნობრო ტრადიციის ისტორიას და კვლევის ახალ პერსპექტივებს წარმოაჩენს.

ჯილიან ეპისკოპი

ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)

ქართული კოლექცია ბოდლეს ბიბლიოთეკაში: XXI საუკუნე

მოხსენებაში განხილულია ის გამოწვევები და შესაძლებლობები, რასაც ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული კოლექციის მენეჯმენტში ვაწყდებით. ბოდლეს ბიბლიოთეკის ქართული წიგნებისა და ხელნაწერების მდიდარი ფონდის ბირთვია უორდროპის კოლექცია, რომელიც სერ ოლივერ უორდროპმა, ბრიტანეთის პირველმა მთავარმა რწმუნებულმა ამიერკავკასიაში და მისმა დამ, მარჯორიმ, შეაგროვეს. 1909 წელს, მარჯორის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ, მისი სახელობის ფონდი შეიქმნა, რომლის ამოცანა ქართველოლოგიური კვლევების წახალისება იყო. 1910 წლიდან, ამ ფონდის მეშვეობით, ბოდლეს გახდა მარჯორი უორდროპის ყველა დოკუმენტის, წიგნისა და ხელნაწერის ბენეფიციუმი. კოლექციის შევსება 1948 წლამდე, ოლივერის გარდაცვალებამდე, მისი შემდგომი შენარჩუნების ხარჯზე გრძელდებოდა. შედეგად, ბოდლეს გახდა ქართული მასალის მთავარი საცავი ევროპაში. მოხსენებაში შევხებით კოლექციის ონლაინ კატალოგიზებასა და დიגיტალიზაციას, აგრეთვე, კონსერვაციასთან დაკავშირებულ კვლევებსა და იმ ნაბიჯებს, რაც მეცნიერთათვის და საზოგადოების რიგითი წევრებისთვის კოლექციის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად იდგმება.

მე ვისაუბრებ იმ გამოწვევებზე, რაც უკავშირდება კოლექციის – შუა საუკუნეების ხელნაწერებისა და XIX საუკუნის არქივის – ონლაინ კატალოგის შექმნას და იმ დილემაზე, რომლის

წინაშე საერთაშორისო კატალოგიზების სტანდარტის შერჩევას ვდგებით.

ვისაუბრებ პროგრესზე, რაც გვაქვს 1972 წლის ბექდური კატალოგის გადაყვანის საქმეში TEI (Text Encoding Initiative) სისტემაზე, ონლაინ ქართული კატალოგის შესაქმნელად, და იმაზე, თუ რა სარგებლობას მოიტანს IIF (Image Interoperability Framework) საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება.

აღვწერ იმ საშუალებებს, რომლებიც კონსერვაციასთან დაკავშირებულ კვლევებში გამოიყენება, აგრეთვე ისეთ ტექნიკურ მეთოდებს, როგორცაა ჰიპერსპექტრული და რამან-ანალიზი, რაც პალიმფსესტებისა და პიგმენტების შესწავლისთვის გამოიყენება. ამასთან განვიხილავ საქართველოზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენის მქონე ბრიტანული საზოგადოებისთვის უორდროპის კოლექციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

გაიანა ელიაზიანი

მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტი – მატენადარანი (ერევანი, სომხეთი)

მატენადარანის მკიხედ დაზიანებული წერილობითი ძეგლების რესტავრაცია

სომხეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მრავალი ტრაგიკული მოვლენა განვითარდა. ხელნაწერი წიგნი, რომელიც ყოველთვის იყო შუა საუკუნეების სომხური კულტურის განსახიერება, არის ხალხის თავზე დამტყდარი სირთულეების უტყვი მონღე.

მატენადარანის, შუა საუკუნეების ხელნაწერების უმსხვილესი საცავის ხელნაწერები რესტავრაციის განყოფილების თანამშრომელთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. მიუხედავად ამისა, 20.000-ზე მეტ უძვირფასეს წერილობით ძეგლს შორის არის ისეთი ერთეულებიც, რომელთა მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „მკიხედ დაზიანებული“.

ამ ხელნაწერების სავალალო მდგომარეობის მიზეზი ისაა, რომ ისინი მატენადარანში კერძო კოლექციებიდან მრავალი პრობლემით შემოვიდა, რაც მათი შენახვის პირობების დარღვევით იყო გამოწვეული.

მოხსენებაში განხილული იქნება დაზიანებული ხელნაწერების კონსერვაციისა და რესტავრაციის რამდენიმე მაგალითი.

ოლგა ვასილივა

რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა (მოსკოვი, რუსეთი)

ქართული ხელნაწერები რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში: კოლექციის ფორმირების ისტორიასთან დაკავშირებით

რუსეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ პეტერბურგში (ყოფილ-მა საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკამ), რომელიც 1795 წელს დაარსდა, აღმოსავლური ხელნაწერების შეგროვება 1805 წლიდან დაიწყო, როცა პეტრე დუბროვსკის კოლექციის ბაზაზე ხელნაწერთა განყოფილება შეიქმნა. დუბროვსკის, ფროლოვის (1817), სუხტელენის (1836) და ტიშენდორფის (1858-1859) კოლექციებთან ერთად, შექმნილ იქნა შემთხვევითი ქართული ხელნაწერებიც (ხელნაწერი წიგნები და დოკუმენტები). რამდენიმე ხელნაწერი (ბატონიშვილ თეიმურაზის ბიბლიოთეკის მცირე ნაწილი) შემოვიდა მეცნიერებათა აკადემიის აზიური მუზეუმიდან (1848 წელს) და კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი თავადის მიხეილ ნიკოლაევიჩის ბიბლიოთეკიდან (1866 წელს). 1875 და 1879 წლებში საბინინმა ბიბლიოთეკას რამდენიმე ქართული ხელნაწერი აჩუქა. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი 1880 წელს უკავშირდება, როდესაც ბატონიშვილ იოანე ბაგრატიონის ბიბლიოთეკა მისი შვილიშვილისგან, ივან გრიგორიევიჩ გრუზინსკისგან (იოანე ქართველიშვილისგან) მიიღეს. ის აერთიანებდა 361 ხელნაწერს, 76 ავტოგრაფსა და 101 ნაბეჭდ წიგნს. მათ შორისაა 996 წელს გადანიშნული გბეთის სახარება და XII საუკუნის სახარება ორი მინიატიურით, რომლებიც უდიდესი მნიშვნელობის ხელნაწერებია პალეოგრაფიული, კოდიკოლოგიური და ხელნაწერი წიგნის

ხელოვნების თვალსაზრისით. კოლექციის უდიდეს ნაწილს შეადგენს XVII-XIX საუკუნეების ხელნაწერი წიგნები, რომელთაგან ზოგიერთი თავად იოანე ბაგრატიონის მიერაა გადანიშნული.

შემდგომ პერიოდში, ქართული ხელნაწერები ბიბლიოთეკას ეპისკოპოსმა პორფირიმ (უსპენსკიმ, 1883 წელს), ალექსანდრე III-მ (1885 წ.) და ზვენიგოროდსკიმ (1886 წ.) გადასცეს. ორი მცირე კოლექცია გრენისა (1892 წ.) და საბინინისგან (1896 წ.) შეიძინეს, ხოლო ერთი შესანიშნავად მოხატული ხელნაწერი დოლობერიძისგან იყიდეს (1912 წ.).

1922 წელს 228 ხელნაწერი წიგნი და დოკუმენტი საქართველოს გადაეცა. ისინი, ამჟამად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

დღეისათვის, რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციაში 238 ქართული ხელნაწერი წიგნია, რომელთაგან 12 ერთეული 1923 წელს შეიძინეს. აქვე დაცულია 150 დოკუმენტი და მცირე ზომის ტექსტები, რომელთა უმრავლესობა XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება.

მორენა თაჰაჰი, რეჟისორი კლდიაშვილი, იხოლდა ჯიჰიჰა

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)*

მელნის მორფოლოგიური და ელემენტური ანალიზი

თანამედროვე კონსერვაცია და რესტავრაცია ინტერდისციპლინური დარგია და აქტიურადაა ჩართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტარდანტების შემუშავების პროცესში. XX საუკუნის ოციანი წლებიდან, უცხოეთის წამყვან ქვეყნებში, რესტავრატორებთან ერთად მუშაობენ საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერთა ჯგუფები. სარესტავრაციო საქმემ ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული სახე მიიღო. რესტავრატორების, ხელოვნებათმცოდნეების, ქიმიკოსების, ბიოლოგების და ფიზიკოსების ჩართულობის შედეგად, მნიშვნელოვანი კვლევები ჩატარდა. დიდი მუშეუმების უმრავლესობა აქტიურად იყენებს თანამედროვე კვლევის მეთოდებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის. კოლექციები ითვალისწინებს საწერი მასალის დახარისხებას საერთო მახასიათებლების მიხედვით, ამიტომ ხელნაწერთა კოდიკოლოგიურ შესწავლაში მელნის ტიპის განსაზღვრა ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია.

მელნის სტრუქტურის დასადგენად, ჩავატარეთ XVII საუკუნის დაზიანებული ხელნაწერის მელნის სპექტრალური ანალიზი, თუ რა ელემენტებისგან შედგება შავი და წითელი (სინგური) მელნის ფხვნილები. ასევე, მაგნიუმის ოქსიდის ხსნარით დამუშავებული ნიმუშები. ამ მიზნით, ჩატარდა საკვლევი ობიექტების მორფოლოგიური და ელემენტური ანალიზი მასკანირებული ელექტრო-

ნული მიკროსკოპით, რომელიც აღჭურვილია ენერგო დისპერსიული მიკრორენტგენო სპექტრალური ანალიზატორით. ვინაიდან, ქალაქი და მელანი არ არის ელექტროგამტარი მიკროსკოპში ანალიზისთვის, პლატინის თხელი ფენებით დაიფარა. ენერგო დისპერსიული გულისხმობს იმას, რომ ელექტრონის ნივთიერების ატომებზე მოხვედრისას, იწყება მახასიათებელი რენტგენული გამოსხივება, რომლის ენერგიასაც შესაბამისი დეტექტორი აფიქსირებს. ეს მიუთითებს იმას, რომ მელანში შემავალი თითოეული ქიმიური ელემენტი თავის დამახასიათებელი ენერგიის გამოსხივებას იძლევა. სწორედ ამ ანალიზატორითაა მიღებული სპექტრები, ხოლო სურათები – მიკროსკოპის საშუალებით. მაგნიუმის ოქსიდის ხსნარში დამუშავებულ ნიმუშებზე მაგნიუმი დარჩა, რასაც შესაბამისი სპექტრები ადასტურებს. გარდა ამისა, შეიმჩნევა დამატებით ფტორის არსებობაც. მაგნიუმის ოქსიდის ხსნარით დამუშავებისას, საკვლევი ობიექტი ირღვევა, რაც მიკროსკოპულ ფოტოებზე ჩანს. რენტგენოდიფრაქციულ სპექტრზე ვხედავთ გაგანიერებულ პიკებს, რაც ართულებს ნივთიერების ცალსახა ინდენტიფიკაციას. დახვეწილი პიკების შემთხვევაში, მარტივი დასადგენია, რა ნივთიერებებისგან შედგება საკვლევი ობიექტი. მნიშვნელოვანია მელნისგან დაზიანებული ხელნაწერების შემდგომი კვლევა, რაც ჩვენს ინტერესს იწვევს, რადგან მსგავსი კვლევა არსებულ ნიმუშებზე ჯერ არ ჩატარებულა.

ამრიგად, საწერ საშუალებებზე ჩატარებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესები, ზუსტი ინსტრუმენტული კვლევა, დიაგნოსტიკა კონსერვაცია-რესტავრაციის სწორად წარმართვის ნინაპირობაა.

პუბლიკაციები

მიუნხენის უნივერსიტეტი (გერმანია)

ქართველოლოგიური კვლევების პიონერი გერმანიაში: იგნაც რუკერისა და კორნელი კეკელიძის მიმოხილვა

გერმანელ კათოლიკე პასტორს იგნაც რუკერს (1879-1957) ქრისტოლოგიის საკითხებზე მუშაობისას, ქართულ მასალასთან მოუხილა შეხება. ის ქართული ენის თვითნასწავლი მცოდნე გახლდათ. 1914 წლიდან მოყოლებული, ორმოცი წლის განმავლობაში, იგნაც რუკერი შვაბიის პატარა სოფლის – ოქსენბრონის პასტორი იყო. 1921 წლის 19 სექტემბერს მან კორნელი კეკელიძეს წერილი მისწერა, რომლითაც ატყობინებდა, რომ იცნობდა მის ნაშრომს – „ძველი ქართული არქიერატიკონი“ (1912) და გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას სთხოვდა. ი. რუკერს პასუხი არ მიუღია. 1926 წლის 6 იანვარს პასტორმა კვლავ მისწერა კ. კეკელიძეს, ამჯერად, ბერძნულად. მას სურდა სამი წიგნის შექმნა: „ძველი ქართული არქიერატიკონი, იერუსალიმური კანონარი (1913) და 1879 წელს თბილისში დაბეჭდილი ახალი აღთქმის ქართული ვერსია. 1926 წლის 3 მარტს იგნაც რუკერმა კორნელი კეკელიძისგან ბანდეროლი მიიღო, რომელშიც ახალი აღთქმა და „იერუსალიმური კანონარი“ იდო. მომდევნო დღეს, ადრესატამდე მიაღწია კორნელი კეკელიძის მიერ 1926 წლის 20 თებერვალს გამოგზავნილმა, გერმანულ ენაზე (!) შედგენილმა წერილმა. ამ დღიდან მოყოლებული, მათი მიმოხილვა გერმანულ ენაზე წარმოებდა. სამწუხაროდ, ჩვენამდე კორნელი კეკელიძის მხოლოდ ორმა წერილმა მოაღწია. იგნაც რუკერის 17 წერილი კი საქართ-

ველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თბილისში, სრულადაა დაცული. ამ წერილებიდან ცხდი ხდება, რომ კ. კეკელიძემ ი. რუკერს, სულ ცოტა, შვიდჯერ მაინც მისწერა. მან პასტორს სხვა წიგნებიც გაუგზავნა. მიმოხილვაში საუბარია ქრისტოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილ ქართულ ხელნაწერებზე. ი. რუკერმა ოთხი წიგნი გამოაქვეყნა. თავის მონოგრაფიაში „Ephesinische Konzilsakten in armenisch-georgischer Überlieferung“ (მიუნხენი, 1930) იგნაც რუკერმა კ. კეკელიძის მიერ მიწოდებული ინფორმაცია გამოიყენა, რისთვისაც მას მადლობა გადაუხადა. გასაოცარია, თუ როგორ სულგრძელად და თავაზიანად პასუხობდა კორნელი კეკელიძე იგნაც რუკერის ზოგჯერ უსაშველოდ გრძელ კითხვებს. მიმოხილვა 1930 წელს შეწყდა. როგორც ჩანს, რუკერმა ამ სფეროში სამეცნიერო მუშაობა შეწყვიტა.

ალექსეი კაშჩაევი

რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა (მოსკოვი, რუსეთი)

რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფონდების დაცვის მიმართულება

პრევენციული კონსერვაციის სექტორი არის ბიბლიოთეკის მიერ დაარსებული ლაბორატორია, რომლის ამოცანაა პრაქტიკული ტექნიკისა და მიდგომების გამოცდა, რომლებიც საბიბლიოთეკო კოლექციების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება.

პრევენციული კონსერვაციის სექტორის ექსპერტები ფონდების დაცვის შემდეგი მიმართულებით მუშაობენ:

- საცავების მიკროკლიმატური მახასიათებლებისა და ჰიგიენური პირობების კონტროლი.
- განათების კონტროლი წიგნთსაცავებში.
- RSL დოკუმენტების გამოფენის კონტროლი.
- საცავებში ჰაერის ანალიზი.
- ფონდების ინსპექტირება.
- დოკუმენტების მიკრობიოლოგიური ინსპექტირება.
- შენობის ინსპექტირება.
- დოკუმენტებისა და შენობის დამუშავების ტექნიკის შერჩევა.
- დაზიანების შემთხვევები.

კოლექციების საცავებში ჰაერის ტემპერატურა 16⁰-დან 20⁰-მდე ფარგლებში მერყეობს, ხოლო ფარდობითი ტენიანობის მნიშვ-

ნელობა, დამოუკიდებელი კონდენცირების სისტემის მეშვეობით, მუდმივად დაახლოებით 55%-ის ფარგლებშია შენარჩუნებული. საცავებში დგას ტემპერატურისა და ტენიანობის ჩამწერები.

სამუშაოს ძირითადი ნაწილი საცავებში დაცული მასალის ბიოდაზიანებების პრევენციულ ღონისძიებებს ეთმობა – ესაა ბიოლოგიური ზედმხედველობის სისტემა (მავნებლების კონტროლი), რომელიც მიკრობიოლოგიურ, ენტომოლოგიურ და როდენტოლოგიურ სისტემებს მოიცავს.

მუშაობაში თანამედროვე მონაცემები და მასალები გამოიყენება. დოკუმენტების გასაშრობად ჩვენ კლიმატურ კამერას ვიყენებთ – VC 4200 VOTSCH Industrietechnik GmbH (გერმანია). დოკუმენტების მექანიკური წმენდისთვის უნივერსალური სანმენდი სისტემა “HYLA” International GmbH & Co. KG (გერმანია) გამოიყენება, რომელიც სხვა სისტემებთან შედარებით დამზოგავი ფუნქციონირებით გამოირჩევა. ბიბლიოთეკის საცავების ჰაერში მტვრის, SO₂, CO₂, NO, C, Cl₂-ის შემცველობის გასაზომად GANK-4 ტიპის ანალიზატორი გამოიყენება.

ხანმოკლე საგამოფენო ექსპოზიციის დროს საგამოფენო ობიექტებისთვის შექმნილი უნდა იყოს ისეთივე გარემო პირობები, როგორც მათ საცავში ჰქონდათ. ამიტომ, ინდივიდუალურ საგამოფენო ვიტრინებში წიგნების გამოფენისას, როცა კლიმატ-კონტროლის განხორციელება შეუძლებელია, სხვადასხვა ტიპის ადსორბენტები გამოიყენება. საგამოფენო სივრცეში ჩვენ გამოვცადეთ “Pro-sorb” და “Art-sorb” საშუალებები, რომლებსაც 40-60%-იანი შეფარდებითი ტენიანობის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

სექტორი, აგრეთვე, ზედმინეწით ყურადღებით ამონებს ბიბლიოთეკის ფონდების მდგომარეობას: აგროვებს მონაცემებს ფონდებში დაცული ერთეულების ტიპის, რაოდენობისა და განლაგების შესახებ; აგრეთვე, ხდება საცავის სივრცის, ნედლი მასალისა და კოლექციების დეგრადაციის შესწავლა, რათა გამოვლენილ იქნას არსებული პრობლემები და დაისახოს პრიორიტეტები მათ აღმოსაფხვრელად.

ვლადიმერ კაკალია

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)*

კორნელი კაკალიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერების ფონდის ჩამოყალიბების ისტორიიდან

ყოველ სიძველეთსაცავს საკუთარი შექმნა-ჩამოყალიბების ისტორია აქვს, რაც, თავისთავად, დიდ ინტერესს იწვევს. მაგრამ, გარდა სამეცნიერო ინტერესისა, ამ საკითხის გარკვევას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი ცალკეული ინსტიტუციის საფონდო საქმისწარმოებაში. საკითხის შესასწავლად, უმნიშვნელოვანესია კოლექციებისა თუ ქვეკოლექციების ჩამოყალიბება-შევსების საკითხები.

ამჯერად, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ცენტრში დაცული ქართული ხელნაწერების კოლექციის შევსების ერთ ეტაპზე, რომელიც XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა.

1922 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, 1923 წელს საქართველოს დაუბრუნდა, სხვადასხვა დროს საქართველოდან გატანილი, რუსეთის სიძველეთსაცავებში დაცული ხელოვნების ნიმუშები და ხელნაწერი მემკვიდრეობა. მათ შორის, ხელნაწერი წიგნების უმსხვილესი კოლექცია რუსეთის (პეტერბურგი) საჯარო ბიბლიოთეკიდან (1917 წლამდე ეწოდებოდა საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკა, დღეს რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა).

რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკაში ქართული ხელნაწერები ხუთ კოლექციაში იყო თავმოყრილი. საქართველოსთვის გადმოსაცემი ხელნაწერების შესარჩევად, პეტერბურგს ქართველი მეცნიერები ეწვივნენ, რომლებმაც ადგილობრივ კოლეგებთან ერთად, რთული და შრომატევადი საქმე განიეს. აღნიშნული პროცესები აღწერილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საზოგადო მოღვაწეთა პირად საარქივო ფონდში დაცულ მასალაში (ივანე ჯავახიშვილისა და სერგი გორგაძის პირადი არქივები).

ამ მასალის მიხედვით, სხვადასხვა კოლექციიდან საქართველოს შემდეგი ხელნაწერები გადმოეცა: დორნის კოლექციიდან (собр. Дорна) საქართველოში დაბრუნდა 11 ხელნაწერი, ადგილზე დარჩა 3; კოლექციიდან „ახალი ქართლი“ სერია (Груз. Н. С.) საქართველოს გადმოეცა 12 ხელნაწერი, ადგილზე დარჩა 12; იოანე ბაგრატიონის კოლექციიდან (собр. ц. Иоанна) საქართველოს გადმოეცა 179 ხელნაწერი, ადგილზე დარჩა 189; გრენისკოლექციიდან (собр. Гренина) საქართველოს გადმოეცა 8 ხელნაწერი (1; 2; 3; 6; 11; 12; 13; 14), ადგილზე დარჩა 9 (4; 5; 7; 8; 9; 10; 15; 16; 17); საბინინის კოლექციიდან (собр. Сабинина) საქართველოს გადმოეცა 10 ხელნაწერი, ადგილზე დარჩა 16.

გარდა ამ ხელნაწერებისა, სხვადასხვა წელს, ქართული ხელნაწერების ფონდი რუსეთიდან დაბრუნებული კიდევ ათეული ხელნაწერით გამდიდრდა.

**ლია კიკნაძე, მიხეილ ქავთარია,
ლილი ხევსურიანი, ლალი ჯღაპია**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)*

**ათონის ივირონი – ქართული კულტურულ-
საგანმანათლებლო კერა
(ივირონის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია)**

ათონის ივირონის ქართულმა კულტურულ-საგანმანათლებლო კერამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობასა და კულტურაზე, ქართული მეცნიერული და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. ივირონი იყო ახალი შემოქმედებითი ცენტრი, სადაც, ერთი მხრივ, გადმოინერგა ტაო-კლარჯეთში შექმნილი და ჩამოყალიბებული სალიტერატურო სკოლის ტრადიციები და, მეორე მხრივ, ქართული მწერლობის განვითარებას ახალი მიმართულება მიეცა. ქართველი ათონელების – იოანე, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების – მალაღმბარისხოვანმა თარგმანებმა არაერთი მნიშვნელოვანი ბიბლიოლოგიური, ეგზეგეტიკური, ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური, მეტაფრასული, ასკეტიკური თუ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული შემოგვინახა.

ივირონის მონასტრის ქართული ხელნაწერების კოლექცია, რომელიც დღეს 86 ხელნაწერს შეიცავს, ქართველოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის საკითხებზე მომუშავე ქართველ და უცხოელ მეცნიერთათვის იმ აღწერილობების მიხედვითაა ცნობილი, რომლებიც ალ. ცაგარელმა (1883-1886 წწ.) და რობერტ ბლეიკმა (1932-1933 წწ.) შეასრულეს.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტის) მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ ხელახლა აღინერა ათონის ქართული ხელნაწერები. განმეორებითი აღწერილობა შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

1. ქართული თარგმანების ბერძნული დედნების იდენტიფიკაცია;
2. თხზულებათა რედაქციულობის დადგენა;
3. ხელნაწერთა შედგენილობის დანვრილებითი სურათის წარმოდგენა;
4. ანდერძ-მინაწერების სრული ტექსტების გამოქვეყნება;
5. საძიებლების შედგენა;
6. აღწერილობის შევსება ბოლოდროინდელი ქართული და უცხოენოვანი ბიბლიოგრაფიით.

ამ სამუშაოს ჩატარების შედეგად, არაერთი სიახლე გამოვლინდა:

- ივირონის კოლექციაში დადასტურდა ხელნაწერები, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულად ითვლებოდა. ამგვარად, ქართული თარგმანი ორიგინალის მნიშვნელობას იძენს და უტყუარ მასალას წარმოადგენს ბიზანტიური სასულიერო მწერლობის შესასწავლად;

- ივირონის კოლექციაში გამოვლინდა შუა საუკუნეების მოღვაწეთა (ეფთვიმე და გიორგი ათონელების, თეოფილე ხუცესმონაზონის, არსენ ფარსმანყოფილის) ავტოგრაფული ხელნაწერები;

- ახლებური კუთხით წარმოჩნდა გიორგი ათონელის „თვენის“ გადამწერების, ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი „კლემასისა“ და „ბარლაამის ცხოვრების“ ქართული ნუსხის საკითხები.

დარეჯან კლდიაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

ქართული სამონასტრო სულთა მატრიანეები (კვლევის შედეგები)

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ცალკე სამეცნიერო-კვლევით მიმართულებას წარმოადგენს ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების კვლევა. ამ მიმართულებით რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს ხელნაწერებში მინაწერების სახით შემონახული ალაპ-მოსახსენებლების – სინოდიკონების – შესწავლა და გამოცემა. სააღაპე და მოსახსენებელი მატრიანეები მოღწეულია როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ქართული ეკლესია-მონასტრებიდან. მათგან ქართველოლოგთა (მ. ბროსე, ნ. მარი, ელ. მეტრეველი, ქრ. შარაშიძე) და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იერუსალიმის ჯვრის და ათონის ივერთა მონასტრების სააღაპე და მოსახსენებელი მატრიანეები.

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ეკლესიებისა და მონასტრების ლიტურგიკულ პრაქტიკაში ალაპ-მოსახსენებლების რამდენიმე სახეობა გამოიყენებოდა. მათ ჩვენამდე მოაღწიეს: ეკლესია-მონასტრების კედლებზე შესრულებული წარწერების, სააღაპე შეწირულების დოკუმენტების, მოსახსენებელი სიების, დამოუკიდებლად გაფორმებული სინოდიკონების – სააღაპე წიგნებისა და მოსახსენებელი მატრიანეების (ათონის ქართველთა

მონასტრის სააღაპე წიგნი, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიისა და გერგეტის სამების მატრიანეები), აგრეთვე სახარებისა და სვინაქსარის მინაწერების სახით და სხვ.

ლიტურგიკული ხელნაწერებიდან ალაპ-მოსახსენებლები-სა და შეწირულობის აქტების შესატანად, ძირითადად, გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს და სახარების საკითხავებს იყენებდნენ. ეს პრაქტიკა მნიშვნელოვნად ადვილდება ღვთისმსახურების დროს სვინაქსარსა და სახარებაში ჩანერილი პირების (გარდაცვლილთა და ცოცხალთა) მოხსენიებასა თუ დალოცვას, აგრეთვე სააღაპე განგებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულებას.

საუკუნეთა განმავლობაში ლიტურგიკული ხელნაწერების აშიებზე შეტანილმა მრავალრიცხოვანმა ალაპ-მოსახსენებლებმა, ფაქტობრივად, შეადგინა ე. წ. სულთა მატრიანეები. კვლევამ აჩვენა, რომ ტაო-კლარჯეთის მონასტრებში სვინაქსარისა და სახარების გამოყენება ალაპ-მოსახსენებლების შესატანად XI საუკუნის ბოლო მეოთხედიდან იერუსალიმის ჯვრის და ათონის ივერთა მონასტრების საღვთისმსახურო გამოცდილების გათვალისწინებით გავრცელდა.

სინოდიკონების კვლევას მიეძღვნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მრავალწლიანი პროექტი „ქართული სამონასტრო სულთა მატრიანეები“ შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სინას მთის ქართული ეკლესიისა და ისტორიული სამხრეთ საქართველოს მონასტრების ხელნაწერებში შეტანილი სულთა მატრიანეების ტექსტების გამოცემას და მათ შესწავლას კოდიკოლოგიური თუ ისტორიული თვალსაზრისით.

პირველ წიგნში (გამოიცა 2008 წელს), რომელშიც სინის მთის სულთა მატრიანე შევიდა, მოცემულია ქართული სინოდიკონების ზოგადი მიმოხილვა და წმ. ეკატერინეს მონასტრში დავით აღმაშენებლის (1089-1125) მიერ აშენებული წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიაში XV საუკუნის დასაწყისში შედგენილი მოსახსენებელი მატრიანის კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

მატიანემ ფასდაუდებელი ინფორმაცია შემოინახა ქართველ მეფეთა, დედოფალთა, კათოლიკოსთა, ეპისკოპოსთა, სინის მთისა და იერუსალიმის ქართველ ბერ-მონაზონთა – ჯვარისმამათა და გოლგოთის მოღვაწთა, წმინდა მინასა და სინაზე ჩასულ მომლოცველთა, მაშენებელთა და შემწირველთა – შესახებ IV საუკუნიდან XVI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით.

ამავე პროექტის **მეორე** წიგნი, რომელიც მზადაა გამოსაცემად, ისტორიული სამხრეთ საქართველოს, კერძოდ კი, სამცხისა და ტაო-კლარჯეთის მონასტრების (თისელი, მიძნაძორი, წყაროსთავი, ბერთა, სვეტი, პარეხი, იშხანი, ბანა), ხელნაწერებში XI-XVI საუკუნეებში ჩანერილ იმ ალაპ-მოსახსენებლებს ეთმობა, რომელთა ერთიანობაც რამდენიმე საუკუნოვან სულთა მატიანეებს ქმნის. შესწავლილი ხელნაწერებიდან, რომელთაგან სამი სვინაქსარია (ხეც: A-97, A-193, Par. Géorg. 4), შვიდი ოთხთავი (ხეც: A-28, A-488; მატენადარანი, Ms. Foreign, 161; ჰარვარდი, Houghton MS. Georg. 1; Ms.Georg. 988; ГИМ, Шук. 760; ქიემ, K-375) და ერთი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული (ხეც, A-1), ამოიკითხა **ცხრაასზე მეტი** ალაპ-მოსახსენებლის ტექსტი, რომლებშიც ტაო-კლარჯეთში მცხოვრები **სამი ათასზე მეტი** პირი იხსენიება.

სამხრეთ საქართველოს მონასტრების წიაღში საუკუნეთა განმავლობაში შედგენილი სინოდიკონები – სულთა მატიანეები, სააღაპე წიგნები თუ მოსახსენებელ პირთა სიები, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი პირველწყაროა ტაო-კლარჯეთის ისტორიული პროვინციების სამონასტრო ცხოვრების, იქ არსებული ეკლესია-მონასტრების ისტორიისა და მრევლის, პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის, მკვიდრი მოსახლეობის ონომასტიკონის, საგვარეულოთა გენეალოგიებისა თუ ცალკეული პერსონალების შესახებ. განსაკუთრებით დიდია მათი, როგორც სტატისტიკურ-დემოგრაფიული წყაროს მნიშვნელობა ისტორიული სამხრეთ საქართველოს პროვინციების ეთნიკური შემადგენლობის, კონფესიური ვითარების და მიგრაციული პროცესების

შესასწავლად. მისი, როგორც თანადროული პირველწყაროს, მნიშვნელობა განპირობებულია იმითაც, რომ ეს მასალა შესაძლებლობას იძლევა მიუკერძოებლად აღდგეს ის კონფესიური, ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი, რომელიც არსებობდა საქართველოს სამხრეთ პროვინციებში ოსმალეთის ბატონობის დამყარებამდე და მის შემდგომაც. მეორე მხრივ, სინოდიკონების შემცველი ხელნაწერების კოდიკოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით კვლევამ, რიგ შემთხვევაში, შესაძლებლობა მოგვცა, დაგვედგინა ტაო-კლარჯეთის მონასტრების სკრიპტორიუმებში შექმნილი, თუ იქ დაცული, ხელნაწერების ისტორია – წარმომავლობა, მომგებლისა და გადამწერის ვინაობა, თარიღი, დაცულობის ადგილი, ასევე, ის კულტურულ-პოლიტიკური გარემო, რომელშიც ეს ნუსხები შეიქმნა.

ეკვთიმი კოჭლააზაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

ეზრამ მცირის შენიშვნა ნმ. ბასილი კესარიელისა და ნმ. ეზრამ ასურის მიერ ორმოცი სებასტიელი მონაშის შესახებ ნარმოთქმული ჰომილიების ურთიერთმიმართების შესახებ

ძველ ქართულ ლიტერატურაში ე. ნ. ელინოფილური მიმართულების პირველი დამამკვიდრებლის, XI საუკუნის II ნახევრის დიდი ქართველი მეცნიერი თეოლოგის, ფილოსოფოსისა და მთარგმნელის, ენათმეცნიერისა და ლიტერატურის ისტორიკოსის, ეფრემ მცირის, მთარგმნელობითი მუშაობა განუყრელად უკავშირდება ღრმა მეცნიერულ კვლევა-ძიებას ბიზანტიური ლიტერატურის, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის, თარგმანის თეორიის, გრამატიკის, ტექსტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის დარგებში. მის მიერ თარგმნილ თხზულებებზე დართული მრავალრიცხოვანი კოლოფონები შეიცავს ძალზე საყურადღებო და ზოგჯერ უნიკალურ ინფორმაციას ამ ძეგლებისა და მათ თარგმანსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ერთ-ერთი ასეთი კოლოფონი, რომელიც ორმოცი სებასტიელი მონაშის შესაქებად ნმ. ეფრემ ასურის მიერ შეთხზული ჰომილიის ეფრემ მცირისეული თარგმანის კიდეზე (ჟერ. 23, ქუთ. 8, A-613 ხელნაწერებში) გვხვდება, დღემდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი.

ეფრემ მცირისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ეფრემ ასურს ორმოცი სებასტიელი მონაშის შესხმა, კესარიაში ბასი-

ლი კესარიელთან შეხვედრამ და ამ თემაზე საუბარმა შთააგონა. (ამას თვით ეფრემ ასური მოგვითხრობს მის მიერ შეთხზულ „ბასილი დიდის შესხმაში“, რომელიც სწორედ ეფრემ მცირემ თარგმნა ქართულად). ამიტომ „ორმოცი მონაშის შესხმაში“ ეფრემის მიერ ციტირებული ერთი ფრაზა („რამეთუ თქუა: იყვნეს დასსა რომელსამე შინა ორმოცნი მწედარნი, კეთილადმსახურებით ცხორებულნი“) ქართველმა მთარგმნელმა ბასილისეულად მიიჩნია, ხოლო ეფრემ ასურის თხზულება – მის კომენტარად.

ეს ლიტერატურული დაკვირვება ეფრემ მცირემ ასე ჩამოაყალიბა საკითხავის სათაურთან მიწერილ კოლოფონში: „შეგნიშნოთ, რომ აქ ავტორი (ნმ. ეფრემ ასური) ბასილი დიდის ორმოცი მონაშის შესხმის განმარტებას იწყებს, მსგავსად სახარების ან პავლეს ეპისტოლეთა განმარტებისა“.

ტექსტობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ბასილი დიდის თხზულებაში არ მოიპოვება ის ფრაზა, რომლის განმარტებაც, თითქოს, ეფრემ ასურს დაუნერია. ვერც ეფრემის თხზულების სხვა ადგილებს მივიჩნევთ ბასილი დიდის ხსენებული თხზულების განმარტებად. მართალია, ეფრემ მცირის ლიტერატურული დაკვირვებები ყოველთვის ზუსტი და ღრმაა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ზემოხსენებულ კოლოფონში გამოთქმულ მოსაზრებაზე.

რა გახდა მიზეზი ქართველი მთარგმნელის შეცდომისა? ეს ეფრემ მცირის თხზულების ქართული თარგმანისა და მისი ბერძნული დედნის შედარებით ირკვევა. ეფრემ მცირეს ხელთ ჰქონია სათარგმნი თხზულების თავნაკლული ტექსტი, რომელშიც ბუნდოვნად ჩანდა ავტორის მიერ ციტირებული ფრაზის რაობა.

მიროსლავ პ. კრუპი

გდანსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი)

ქართული ხელნაწერები კრაკოვის ჩარტორიისკების ბიბლიოთეკაში

კრაკოვის ჩარტორიისკების ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები უკვე დიდი ხანია ინტერესს იწვევს. ცნობილია, რომ თავადმა ჩარტორიისკიმ ეს ხელნაწერები, სხვა 11 ტომთან ერთად, 1860 წელს პარიზის აუქციონზე შეიძინა. სამწუხაროდ, დღემდე უცნობია, ვის ეკუთვნოდა ისინი. ლეგენდის თანახმად, მათი მფლობელი დაუდგენელი ქართველი პრინცი იყო. უკვე XIX საუკუნის ბოლოს, ვლოდზიმირჟ სპასოვიჩმა (1829-1906 წწ.), პოლონელ-რუსმა ვეჟილმა და ლიტერატურის ისტორიკოსმა, ინფორმაცია ამ ხელნაწერების შესახებ ანტონ ანტონის ძე ცაგარელს მიაწოდა, რომელმაც მათი ნახვა 1891 წელს მოახერხა, როდესაც ის იტალიაში მიემგზავრებოდა. თუმცა, ამ ხელნაწერების იდენტიფიკაციას, დათარიღებასა და აღწერას პროფესორ გიორგი ფერაძეს უნდა ვუმაღლოდეთ. 1932 წელს მკვლევარმა კოლექციაში სხვადასხვა ტიპის, XII-დან XVIII საუკუნემდე გადაწერილი ლიტურგიკული კრებულების არსებობა დაადასტურა. ცოტა ხნის წინ ხელნაწერთა ციფრული ვერსიები მომზადდა, რომლებიც ჩარტორიისკების ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე აიტვირთა. სამწუხაროდ, ქართული ხელნაწერების მდგომარეობა სავალალოა. აუცილებელია მათი დაუყოვნებელი კონსერვაცია. სწორედ ამას უკავშირდება პოლონეთში საქართველოს საელჩოს მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც ხელნაწერების ყოვლისმომცველ კონსერვაციას ითვალისწინებს. ქართული კულტურის ეს წერილობითი ძეგლები – ლიტურგიკული ხელნაწერები, რომლებიც გაურკვეველ ვითარებაში ქვეყნის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ჰიროტაკე მადა

ტოკიოს უნივერსიტეტი (იაპონია)

საქართველოსა და სეფიანთა ირანის ურთიერთობების კვლევა ფაზლის ცნობებზე დაყრდნობით: რა იყო გიორგი სააკაძის სეფიანთა კარზე წასვლის მიზეზი?

სხვა დროს უკვე აღვნიშნე და დავწერე კიდეც, რომ XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, კემბრიჯში, ფაზლი ხუზანი აღ-ისფაჰანის ქრონიკის მესამე ტომის აღმოჩენამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს ისტორიის კვლევების წარმოების პოტენციალი. ეს წყარო ნათელს ჰფენს ისტორიულ მოვლენებს და გვანდის ახალ ინფორმაციას პიროვნებებისა თუ სოციალური ჯგუფების შესახებ. ამ მოხსენების ავტორმა უკვე ნაიკითხა რამდენიმე მოხსენება საქართველოს ისტორიული პიროვნებების, მაგალითად, მეფე ლუარსაბის, დედოფალ ქათევანისა და გიორგი სააკაძის შესახებ, გამოიყენა რა ცნობები ზემოთ ხსენებული სპარსული ქრონიკიდან. ავტორი გეგმავს ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნებას. ამ მოხსენებაში დეტალურად შევეხები ფაზლის ცნობებს სააკაძის სეფიანთა კარზე წასვლის შესახებ.

როგორც ცნობილია, ისკანდერ მუნში ამბების თხრობას იწყებს იმ დროიდან, როცა გიორგი სააკაძე მარტყოფის აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. მემატთანე წინმსწრებ ისტორიას არ მიმოიხილავს. ფაზლი, როგორც ფეიქარ ხანის ვეზირი, მოვლენების თვითმხილველი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მისი აღწერები სეფიანთა თვალსაწიერიდან კეთდებოდა; ამიტომ, მისი მონათხრობიდან ჩანს, თუ როგორ აღიქვამდნენ სპარსელები საქართველოსა

და სეფიანთა ირანთან დაკავშირებულ მოვლენებს. იმის გათვალისწინებით, რომ ფაზლის დეტალური აღწერები ორიგინალურია და თანაც სააკაძის მოღვაწეობის პერიოდის თანადროული, ისინი სრულიად უნიკალურია (როგორც უკვე აღვნიშნე, მასში მოცემული ცნობები განსხვავდება სხვა სპარსულ და უცხოური წყაროებში დაცული ცნობებისგან), ამიტომ ჩვენ მას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამ ეტაპზე, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ იმას, თუ როგორ აღწერს ფაზლი გიორგი სააკაძის მიერ ლუარსაბის სამეფო კარის დატოვებას. მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება გიორგი სააკაძესთან დაკავშირებული ამბის დასაწყისზე.

აპოსტოლოს გ. მანტასი

იოანინას უნივერსიტეტი (საბერძნეთი)

„ზღვის დაყუდება“ მოქმის სახარებაში და ქარის პერსონოფიკაცია ბიზანტიურ ხელოვნებაში

მოქმის სახარების პუბლიკაციამ (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q-902) წარმოაჩინა უდიდესი მნიშვნელობის ხელნაწერი, რომლის მინიატიურებს საქართველოში პალეოლოგოსური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს შორის უკავია ადგილი. ხელნაწერის 31v ფურცელზე გამოსახულია „მაცხოვრის მიერ ზღვის დაყუდება“, როგორც ეს მათეს სახარებაშია ნახსენები (მათე 8: 23-27). ამ გამოსახულების საინტერესო ელემენტია ქარის პერსონოფიკაცია ახალგაზრდა მამაკაცის სახით, რომელიც ბუკს ჩაჰბერავს. ამ დეტალის გათვალისწინებით, მოხსენებაში განხილული იქნება ქარის პერსონოფიკაცია ბიზანტიურ ხელოვნებაში.

ქარის პერსონოფიკაცია ჯერ კიდევ ძველბერძნულ და რომაულ ხელოვნებაში, აგრეთვე, მათი გავლენით, გვიან ანტიკურ ხანაში ფართოდ იყო ცნობილი. სწორედ ამ უკანასკნელ ხანაში, რა დროსაც ეს სიუჟეტი, ძირითადად, მოზაიკური იატაკის გამოსახულებებს შორის გვხვდება, ადაპტირდა ადრექრისტიანულ და ბიზანტიურ იკონოგრაფიასთან, სადაც ის გამოიყენებოდა სარკოფაგების შესამკობად, აგრეთვე ხელნაწერთა მინიატიურებში და უფრო ნაკლებად, მონუმენტურ ხელოვნებაში.

ამ პერსონოფიკაციის მხატვრულ შესრულებაში რამდენიმე იკონოგრაფიული ტიპისა და ვარიაციის გარჩევა შეიძლება. მათ შორის არსებული განსხვავებები უკავშირდება, ძირითადად,

ფიგურათა მატერიალურ ფიზიონომიურ თავისებურებებს, მათ სამოსს, ჟესტიკულაციასა და იმ ნივთებს, რომლებიც ხელთ უპყრიათ. ამ ვარიაციების ახსნა ხშირად შესაძლებელია უფრო ფართო იკონოგრაფიული ჩარჩოს ფარგლებში, რომლის ნაწილია ქარის პერსონიფიკაცია. უფრო იშვიათია ანტიკურ ხელოვნებაში ჩამოყალიბებული ტიპის გამეორების შემთხვევები, როდესაც ადგილი არ აქვს ფიგურის იდეოლოგიურ ტრანსფორმაციას ბიზანტიური ხელოვნების კონტექსტის შესაბამისად.

ჰაირაპეტ მარგარიანი

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი)

ალასტანის მეფეები სომხური და ქართული პირველწყაროების მიხედვით

ალასტანის მეფეებს (ეს ზედსახელი მათი თავდაპირველი სამფლობელოს საპატივსაცემოდ მიიღეს – ალასტანი ახალქალაქის მახლობლად მდებარე სოფელია) ე. წ. „პროვინციის მეფეებს“ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. მათი სხვა სამფლობელოების მდებარეობის, გენეალოგიისა და მმართველობის პერიოდების საკითხები დამატებით კვლევას საჭიროებს.

ინფორმაცია ამ ქართველ მმართველთა შესახებ, XIV საუკუნის სომხურმა პირველწყაროებმა შემოგვინახა. თუმცა, იმის გამო, რომ ამაზე უფრო დეტალური მონაცემების შემცველი ქართული წყაროების ნაკლებობას განვიცდით, სომეხ ავტორთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია სეროზულ სირთულეებს უკავშირდება.

ერთ-ერთ სომხურ პირველწყაროს, რომელმაც სარგის კაკაბაძის ყურადღება ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ მიიპყრო, წარმოადგენს სომხეთის არაგაცოტნის პროვინციის ჰოვანავანქის მონასტრის უთაროლო ლაპიდარული წარწერა. წარწერაში ნახსენებია დედოფალი თამარი და მისი ნათესავები: „დიდი მელქისედეკი“ და „სამეფო წარმომობის“ გიორგი. ჰოვანავანქის წარწერა, სავარაუდოდ, 1360-იან წლებშია შესრულებული. ის ფაქტი, რომ თამარი დედოფლად იწოდება, უნდა აიხსნას მისი ქორწინებით ალასტანელ მელქისედეკზე. წარწერაში ნახსენები გიორგი ქარ-

თულ „პარიზულ ქრონიკაში“ ნახსენებ გიორგისთან, ალასტანის მეფესთან უნდა გავაიგივოთ. ის 1373 წელს მოკლეს.

XIV საუკუნის მესამე მეოთხედში ალასტანელი მეფეები მართავდნენ არა მხოლოდ შიდა ქართლს, არამედ მათ გარკვეული გავლენა დედაქალაქ თბილისზეც ჰქონდათ. სწორედ ამიტომ, 1361 წელს თბილისში გადანერილი სომხური ხელნაწერის კოლოფონის ავტორი საქართველოს მეფე ბაგრატ V-ს (1360-1393) კი არ ახსენებს, არამედ „საქართველოს მეფედ“, მის ნაცვლად, „პროვინციის მეფე“ მელქისედეკს მოიხსენიებს.

პარმან მარგველაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გიორგი ნერეთლის სახელობის ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი (საქართველო)

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტები და წარათქმისეული ნუსხა

„ვეფხისტყაოსნის“ მოკლე რედაქციის არსებობის მიმანიშნებელი თუ დამამტკიცებელი ფაქტობრივი მოცემულობა გვაქვს ნერეთლისეულ ხელნაწერად სახელდებულ S-5006 ნუსხაში, რომელსაც XVII საუკუნით ათარიღებდნენ.

XX საუკუნის მეორე ნახევარიდან რუსთველოლოგიაში დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ ამ ხელნაწერის ჩვენების მხედველობაში მიღება არ შეიძლება, რადგან „იგი თვითონ არის დავალებული ვახტანგისეული გამოცემისაგან და ხელნაწერის შუა მონაკეთი პირდაპირ იმეორებს ვახტანგისეულ გამოცემას“ და, რომ „ხელნაწერს ზუსტად გადმოაქვს არა მარტო 1712 წლის ნაკითხვები, არამედ კორექტურული შეცდომები და სხვა ბეჭდური ცდომილებებიც კი“ და ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ „მხოლოდ 1712 წლის გამოცემაში შემუშავდა პოემის ახალი მოკლე რედაქცია“.

მკითხველთა დიდ ნაწილს მტკიცებულების შემონმების შესაძლებლობა არა აქვს, რადგან, ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო, არც ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ ოთხტომეული და არც შანიძისა და ბარამიძის რედაქტორობით 1966 წელს გამოცემული ხელნაწერთა ვარიანტებით აღჭურვილი „ვეფხისტყაო-

სანი“ არ შეიცავს S-5006 უმნიშვნელოვანესი ნუსხის შუა ნაწილის მონაცემებს, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ ამ სამწახარო ფაქტობრივი მოცემულობის ჩამოყალიბების გამო. ხელნაწერის შესწავლით კი უმრავლეს სტროფში დასტურდება არა მექანიკური და შემთხვევითი, არამედ მნიშვნელოვანი, ხშირად კი არსებითი ვარიანტული სხვაობების არსებობა და ირკვევა, რომ ნუსხა პოემის შუა ნაწილშიც ვახტანგისეული რედაქციისაგან განსხვავებული და უფრო ძველი დედნიდან არის მომდინარე, რომ ნუსხის კალიგრაფი არ არის კოპისტი და ნუსხა სწორედ შუა ნაწილშია განსაკუთრებული, შეიცავს ისეთ ვარიანტულ სხვაობას, რომელიც მას გამოარჩევს საერთოდ ყველა სხვა ხელნაწერიდან. წერეთლისეული ნუსხის ჩვენებები ასახავს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის ადრეულ ეტაპს, ადასტურებს პოემის დაბოლოების ვახტანგისეული ვერსიის უფრო ადრე არსებობას და ამტკიცებს, რომ ნუსხა, რომლის სრულქმნა კალიგრაფმა ვერ დაასრულა, XVII საუკუნისაა, რადგან ის სპარსულ ქალაქდზეა შესრულებული, 1710 წლის შემდეგ კი საქართველოში საერთოდ არ არსებობს სპარსულ ქალაქდზე შესრულებული არც ერთი ხელნაწერი ფურცელი.

ელენე მაჭავარიანი

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)*

ქართული სამსახოვანი ანბანის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით

ქართულმა ხელნაწერმა ნიგნმა სამსახოვანი ანბანის – ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის მრავალი ნიმუში შემოგვინახა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნუსხური დამწერლობა სწორედ ხელნაწერი ტექსტების სახით გვხვდება.

თითოეული სახეობა ძველის წიაღში ისახება, შემდგომ კი ცვლილებების შედეგად, ვიღებთ დამწერლობის ახალ სახეობას. მართალია, ერთი სახეობა მეორის სახეცვლილების შედეგია, მაგრამ თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავებული მხატვრული თავისებურებებით ხასიათდება.

ასომთავრულის მოხაზულობანი – ერთი მხრივ, ვერტიკალზე აგებული, ხოლო, მეორე მხრივ, წრიული ფორმებით გამდიდრებული – გარკვეულ სივრცეში – კვადრატულ არეშია მოქცეული. ერთნაირი სიმაღლის მქონე ასოები, საკუთარი მხატვრული გადანყვევით, თავის მხრივ, ორნამენტულ მწკრივებად აღიქმება ტექსტის დაწერილობაში.

შემადგენელ ელემენტთა შორის, პროპორციულობის საფუძველზე აგებული გრაფიკული სისტემა სიტყვაში ერთმანეთისაგან გარკვეული ინტერვალებით დაცილებული მოხაზულობებითა და მკვეთრი, ნათელი ფორმებით მონუმენტური სახის დამწერლობას ქმნის. ამდენად, მთავრული მოხაზულობანი შორი-

დან ადვილად აღსაქმელია. ამიტომაც ისინი ტაძრის ფასადებზე, ფრესკებზე, მოზაიკურ ქვაზე თუ ჭედურ ძეგლებზეა გამოკვეთილი.

სინგურით შესრულებული ან მოხატული მთავრული ასოები, როგორც ორიენტირი მკითხველთათვის, ასევე ეუფლება ნუსხურითა და მხედრულით შესრულებულ ტექსტებს აბზაცების დასაწყისში ან სათაურებად. ზოგჯერ ასოთა კონფიგურაცია სიუჟეტური კომპოზიციითაა შექმნილი.

როცა ბენეპრივი ჰორიზონტალური ხაზითა და ვერტიკალური ჩანაჭდევიტ გრაფიკულად შესრულებულ მთავრულ ასოებში, ტექსტის ყავისფერი მელანი ოქროსფერში გადადის, ხელნაწერ ფურცლებს მეტი მხატვრულობა ენიჭება.

ასომთავრული დამწერლობის ფორმათა ცვალებადობამ, რაც გამონეული იყო გამარტივებული წერისაკენ მისწრაფებით, ანბანის ახალი სახეობა – ნუსხური დამწერლობა შექმნა.

ნუსხური დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი, ძირითადად, გამოიხატა გვერდზე გადახრილი კუთხოვანი ფორმების მქონე ასო-მოხაზულობებით: ასომთავრულში ჩასახული მრგვლოვანი ფორმების რკალურ ფორმებზე გადასვლით, დაკბილული გრაფიკული სისტემა დეკორატიულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასოთა ფორმების მრავალფეროვნება გამონეულია კვადრატული სისტემის დარღვევით და ოთხხაზოვან სისტემაში ასო-მოხაზულობათა განლაგებით. უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვაში ერთმანეთის მიჯრით დაწერილი ასოებით, ტექსტი ხშირად ძნელად წასაკითხიც ხდება.

ასო-მოხაზულობათა გამარტივებულმა წერამ მხედრულ დამწერლობაში გრაფიკული სახე სრულიად შეცვალა. ნუსხური დამწერლობის გავლით, გარკვეული გრაფიკული კანონზომიერებების შედეგად, მარტივი ერთიანი კონტურის მქონე ასოთა მოხაზულობანი შეიქმნა.

ვერტიკალზე აგებული სისტემა მრგვლოვანი ელემენტებითაა გამდიდრებული, რაც ასომთავრულს ახასიათებს, მხედრულ

დამწერლობაში კვლავ მოქმედებს, მაგრამ ოთხხაზოვანი სისტემის ფარგლებში, ერთიანი კონტურის მქონე მოხაზულობებით აღინიშნება.

ქართული სამსახოვანი დამწერლობით შექმნილი ძეგლები იშვიათი კალიგრაფიული ხელწერისაა. მათ განსწავლული გადამწერნი ასრულებდნენ.

მხედრული დამწერლობით ნაწერი ხელნაწერებისა და ისტორიული საბუთების ტექსტებს მხატვრულობას ანიჭებს ასოთა გადაბმის წესებიც, რაც ასევე გადამწერის მიერაა შესრულებული.

გიორგი მაჭარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (თბილისი, საქართველო)

ქართული ეროვნული იდენტობა ჰაბიტუალური და ჰიმნობრაფიული ტექსტების მიხედვით

ვულგატას ადგილობრივ ენებზე თარგმნა ქრისტიანულ დასავლეთში ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა (ა. ჰასტინგსი). საქართველოს შემთხვევაშიც იგივე ჩანს.

საქართველო უძველესი დროიდან არის ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი. ბიბლია ქართულ ენაზე V საუკუნეში ითარგმნა. სასულიერო მწერლობის განვითარებამ და თარგმანებმა ხელი შეუწყო ქართული ენის ნორმების სტანდარტიზებას და გაამყარა ქართველთა ერთობის ენობრივი ნიშანი.

წმინდა წერილი ისრაელის სახით იძლევა მაგალითს, როგორი უნდა იყოს ყველა სხვა ერი. ბიბლიური სწავლება რჩეული ერის შესახებ ქრისტიანულ დასავლეთში ეროვნულ იდეოლოგიაში გადაიზარდა და პოლიტიკური შინაარსი შეიძინა. ინგლისში უკვე XI საუკუნეში ვხედავთ ტერმინ „ერს“ თანამედროვე მნიშვნელობით (ე. სმითი). იგივე შეგვიძლია დავინახოთ ქართულ სასულიერო მწერლობაში, განსაკუთრებით, ჰაგიოგრაფიასა და ჰინოგრაფიაში. აქ საქართველო წარმოდგენილია ისევე, როგორც ბიბლიური ისრაელი ძველი აღთქმის წიგნებში.

მაგალითად, დავით აღმაშენებელი (XI-XII სს.) წერს: „ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა მეფეთა მისთა ისრაელი“. ხოლო კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე (XIII ს.) აღნიშნავს: „იხარებდ დღეს, იხარებდ, ქართველთა სამეუფოო, ერო მორწმუნეთაო, რამეთუ არასადა უმრწემეს გყო შენ ქრისტემან, არამედ მოგცა ხატი თვისი დიდებული, რომელი თვთ მან დაჰბეჭდა პირითა თვისითა“. ერის ბიბლიური გაგება წარმოდგენილია ასევე „ევსტათი მცხეთელის მარტილობაში“ (VI ს.) და „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ (X ს.). ხოლო იოანე საბანისძე „აბოს წამებაში“ (VIII ს.) წერს: „აღვერიენით ერსა უცხოსა“.

წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპასა და საქართველოში ეროვნული იდეალების მსგავსებას. ამრიგად, ვერ დავეთანხმებით ჩვენი დროის ზოგიერთ მკვლევარს, რომლებიც მიიჩნევენ, თითქოს, ქართველთა ერთიან ერად ჩამოყალიბება ქრისტიანულ დასავლეთთან შედარებით გაცილებით გვიან მოხდა (წერენ, თითქოს ეს პროცესი საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო).

ია მელნიკოვა

მოსკოვის წმ. ტიხონის მართლმადიდებლური ჰუმანიტარული უნივერსიტეტი (მოსკოვი)

ამიერკავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობის შესახებ შექმნილი კომისიის მუშაობა 1917-1918 წლების რუსეთის ადგილობრივი კრების ფარგლებში (რუსეთის სახელმწიფო და რუსეთის სახელმწიფო საისტორიო არქივების მასალების მიხედვით)

მოსხენება ეძღვნება რუსეთის ეკლესიის ადგილობრივ კრებაზე საქართველოს საეკლესიო საკითხების განხილვას (1917-1918 წწ.). უფრო ადრე (1906 წ.), საკითხი განიხილებოდა კრების წინარე სათათბიროს II განყოფილების სხდომებზე, მაგრამ უშედეგოდ. ადგილობრივი კრების მოწვევისა და მუშაობის დროისთვის, მდგომარეობა შეიცვალა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით (12.03.1917). საკითხი უკვე სხვა სიბრტყეში უნდა განხილულიყო. ადგილობრივი კრების მუშაობის პროცესში შეიქმნა საგანგებო განყოფილება, რომელსაც უნდა განეხილა ამიერკავკასიაში საეკლესიო ცხოვრების მოწყობის საკითხები „ქართველთა მიერ ავტოკეფალიის გამოცხადებასთან დაკავშირებით“. განყოფილების ხელმძღვანელობა დაევალა კიევის მიტროპოლიტ ვლადიმირს (ბოგოიავლენსკი). ადგილობრივი კრების პირველი სესიის ფარგლებში, გაიმართა განყოფილების 17 სხდომა (1.09-27.11.1917). მეორე სესიის ფარგლებში კი (6/19.02-16/29.08) – 7 სხდომა. პირველი სესიის ბოლოს დასრულდა მუშაობა მოსხენებაზე „ქართველთა მიერ ავტოკეფალიის გამოცხადე-

ბის საქმის შესახებ“. მომხსენებლად დასახელებულ იქნენ პროფ. ვ. ნ. ბენეშევიჩი, პროფ. ი. ი. სოკოლოვი, მღვდ. ვ. ნ. ეგოროვი. ეს მოხსენება დაედო საფუძვლად პატრიარქ ტიხონის 1917 წლის 29 დეკემბრის მიმართვას საქართველოს სამღვდელოებისადმი.

მოსხენებაში განიხილება რიგი საკითხებისა, რომელიც დღემდე არ გაშუქებულა არც რუსულ, არც ქართულ ისტორიო-გრაფიაში და მოყვანილია ახალი საარქივო მასალა, ქართული მხარის პატრიარქ ტიხონისადმი საპასუხო წერილთან დაკავშირებით. ასევე, მასალა ორ ეკლესიას შორის, კანონიკური ურთიერთობის აღდგენის მცდელობის შესახებ, წმ. ამბროსის და წმ. ტიხონის პატრიარქობის დროს.

შორანა მურუსიკა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართულ ემიგრანტთა არქივები (მნიშვნელობა და დამუშავების თავისებურებები)

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული ქართული ემიგრანტული მასალის მოძიება და საქართველოში დაბრუნება. ამ მხრივ, ერთ-ერთი პირველი დაწესებულება, სადაც ემიგრანტულმა არქივებმა დაიღო ბინა, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი იყო.

დღესდღეობით, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ქართული ემიგრაციის 18 დამუშავებული და დაუმუშავებელი პირადი საარქივო ფონდი და რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის საარქივო მემკვიდრეობა. ეს მასალა სხვადასხვა დროს აშშ-დან, არგენტინიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან არის ჩამოტანილი.

დიდი ხნის განმავლობაში, ქართველი მეცნიერებისთვის თითქმის არაფერი იყო ცნობილი ემიგრანტების საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ. არსებული ინფორმაცია კი იდეოლოგიურ ჩარჩოში ექცეოდა.

1. დიდია აღნიშნული საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო ღირებულება. ქართველი ემიგრანტების არქივების შესწავლის შედეგად, საქართველოს უახლესი ისტორიის მრავალი უცნობი ფაქტი გამოვლინდა.

გარე სამყაროსგან „რკინის ფარდით“ იზოლირებულ, საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოქცეულ საქართველოს არ ჰქონდა მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საშუალება,

ხოლო საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არსებული პოლიტიკური რეჟიმის გამო, ფრაგმენტული და სუსტი იყო. სამაგიეროდ, გაცილებით აქტიურები იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი ქართველი ემიგრანტები.

საქართველოში საბჭოთა დიქტატურის დროს იკრძალებოდა თავისუფალი აზროვნება. ემიგრაციაში მყოფ ქართველ მეცნიერებსა და მწერლებს სამეცნიერო და შემოქმედებითი თავისუფლება ჰქონდათ. ამ თავისუფლების კვალი ნათლად ჩანს მათ საარქივო ფონდებში.

ემიგრანტული არქივები გამორჩეულია იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ დაცულია აშშ-ის პრეზიდენტების – ჯონ კენედის, რიჩარდ ნიქსონისა და რონალდ რეიგანის ხელმოწერილი ოფიციალური წერილები, ქართული ემიგრაციის აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურებთან, სენატორებთან, გუბერნატორებთან ურთიერთობების ამსახველი საარქივო ერთეულები. მნიშვნელოვანი დოკუმენტები მოიპოვება დისიდენტური მოძრაობის, მათ შორის, „თვითგამოცემის“ ისტორიის, კვლევის თვალსაზრისით.

2. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პირადი საარქივო ფონდებისგან სრულიად განსხვავებული და უნიკალური საარქივო მასალაა რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის ფონდი, რომელიც მოიცავს რადიოგადაცემების კრებულებს და ბაზინებზე ჩანერილ აუდიომასალას. ისინი ინფორმაციულობითა და მეცნიერული ღირებულებით ფასდაუდებელია. მხოლოდ რადიო „თავისუფლების“ არქივმა შემოგვინახა გიორგი კვინიტაძის, მიხაკო წერეთლისა და გრიგოლ რობაქიძის ხმები.

რადიო „თავისუფლების“ მასალის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა საარქივო ერთეულის აღწერის მეთოდოლოგიაში კრიტერიუმების დამატება.

3. მნიშვნელოვანია ამ მასალის სოციალიზაცია-აქტუალიზაცია. ემიგრანტული საარქივო ერთეულების მიმართ სამეცნიერო ინტერესი დიდია. ამ მასალის საფუძველზე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არაერთი თემატური გამოფენა საგანმანათლებლო პროგრამა ჩატარდა.

მანია ნინია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი (საქართველო)

ხელნაერთა გენეტიკური კვლევის უახლესი მეთოდი და მისი მნიშვნელობა ქართულ ხელნაერთა შესასწავლად

საქართველოსთვის, როგორც ძველი და მდიდარი წერილობითი კულტურის მქონე ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელნაერთა კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების დახვეწა-განვითარება. ხელნაერთმცოდნეობის აღმავლობა მსოფლიოში, ძირითადად, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას უკავშირდება, მაგრამ არანაკლებ წარმატებულია მეთოდოლოგიური ძიებანიც. ამის არაჩვეულებრივი მაგალითია ხელნაერთა გენეტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები.

თუ კარლ ლახმანის მეთოდი ემყარებოდა სხვადასხვა წყაროში გამოვლენილი მსგავსი შეცდომების კვლევას, აღმოჩნდა, რომ ტექსტების ურთიერთმიმართების დასადგენად მხოლოდ შეცდომებზე ორიენტირება არასაკმარისი იყო და მეცნიერებმა დაიწყეს ვარიანტულ სხვაობათა მთლიანი სპექტრის გამოყენება. ეს მეთოდი კიდევ უფრო დაიხვეწა და გერდ მინკის კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდის სახით ჩამოყალიბდა. ითვალისწინებს ყველა არსებული ვარიანტული ნაკითხვის ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე, ტექსტის არქეტიპისკენ გზამკვლევი სტრუქტურებისა და თავად ამ არქეტიპული სახის შექმნას. ძალზე მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნია

გენეტიკური კვლევების არეალში ტერმინ „მონმის“ შემოტანა, რომელიც არსებითად განსხვავდება „წყაროს“, „დოკუმენტისა“ და სხვა მომიჯნავე ცნებებისაგან.

კარლ ლახმანის „მსგავს შეცდომებზე“ დამყარებული გენეალოგიური მეთოდი არქეტიპის რეკონსტრუქციას ახდენდა დედუქციით, კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდი კი არქეტიპს მოზაიკასავით აწყობს ცალკეული მონაცემებიდან. იგი ეყრდნობა არა ხელნაწერების, როგორც არტეფაქტების, არამედ მათში დაცული ტექსტების, ე. წ. მონმების შესწავლას, რადგან ტექსტი, რომელსაც ხელნაწერი შეიცავს, გენეალოგიური თვალსაზრისით, შეიძლება ბევრად უფრო ადრეული იყოს, ვიდრე თავად ხელნაწერი.

ძველი ტექსტების გადანერა-გავრცელებისას, ხშირად მიმართავდნენ კონტამინაციას, რაც ართულებდა მათი ურთიერთმიმართების გარკვევას. ცალკე პრობლემას ქმნის შემთხვევითობები, როდესაც ორ ყოველმხრივ განსხვავებულ ტექსტურ მონმეში გვხვდება ცალკეული ერთნაირი ნაირნაკითხვები და ამის მიზეზი შემთხვევითობაა და არა კონტამინაცია. ამიტომ ტექსტური მონმების ისტორიასა და გენეალოგიურ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით გამოთქმული ნებისმიერი ჰიპოთეზა უნდა ითვალისწინებდეს როგორც კონტამინაციას, ისე შემთხვევით თანხვედრას. მნიშვნელოვანია, რომ, სხვა გენეალოგიური მეთოდებისაგან განსხვავებით, კოჰერენტულობაზე დამყარებული მეთოდი ორიენტირებულია ყველა ამ წინააღმდეგობის დაძლევაზე. გენეტიკური კვლევებისთვის არსებობს საგანგებო კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც მეტად უწყობს ხელს დარგის განვითარებას. ჩვენს მდიდარ ხელნაერთა საცავებში ერთი და იმავე დოკუმენტების უამრავი ავტოგრაფი და ასლი ინახება. ამიტომ მნიშვნელოვანია, შეიქმნას ქართულ ფონტზე მისადაგებული მსგავსი პროგრამებიც, ან მოდიფიცირდეს უკვე არსებული და ჩვენს მეცნიერებსაც მიეცეთ მსგავსი ფუნდამენტური გენეტიკური კვლევების ჩატარების საშუალება.

ნუგზარ კაკუაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

პავლე სვეტლოვი – კალისტრატე ცინცაძეს შოთა რუსთაველის შესახებ

1. კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის პირად საარქივო ფონდში (ხეც) დაცულია დეკანოზ პავლე სვეტლოვის პირადი წერილი უნმიდეს კალისტრატესადმი. ტექსტი ავტოგრაფია, დაწერილი შავი მელნით რვეულის ოთხ გვერდზე, გამოგზავნილი კიევიდან თბილისში 1938 წელს. შინაარსიდან ჩანს, რომ ის დაწერილია პასუხად კათალიკოს კალისტრატეს თხოვნაზე, გამოეთქვა აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობის შესახებ.

2. დეკ. პავლე სვეტლოვი (1861-1942) რუსული საღვთისმეტყველო სკოლის მონუმენტური ფიგურა და არაერთი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორია. სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ის თბილისის სასულიერო სემინარიაში მუშაობდა დოგმატური ღვთისმეტყველების მასწავლებლად. შემდეგ მოღვაწეობა გააგრძელა კიევის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხით პროფესორის თანამდებობაზე.

3. კალისტრატე ცინცაძე მას არაერთგზის მოიხსენიებს, როგორც საუკეთესო პედაგოგსა და მოაზროვნეს. მისი ინფორმაციით, სვეტლოვი ავითარებდა პოზიციას, რომლის მიხედვითაც, სასულიერო პირების პოლიტიკური საქმიანობა კანონზომიერია. შესაძლებელია, ასეთი პოზიციის გამოც შეექმნა მას პრობლემები საბჭოთა ხელისუფლებასთან. ის უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს და საზოგადოებისაგან გარიყული აღმოჩნდა. აღნიშნული წერილიდან ისიც ჩანს, რომ სვეტლოვს ეკონომიურადაც და სულიერადაც რთული სიბერე ჰქონდა. ამასთანავე, ვხედავთ, რომ მას საქართველოსთან თბილი მოგონება და სიყვარული აკავშირებდა.

4. ჩვენთვის ცნობილია რუსი სასულიერო პირებისა და თეოლოგების რუსთველოლოგიის საკითხებით დაინტერესება (მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვი), თუმცა, პავლე სვეტლოვის ნააზრევი სპეციალურ ლიტერატურაში, ჯერჯერობით, შემჩნეული არ არის. იმის მიუხედავად, რომ მას ამ სფეროში საგანგებო კვლევა არ ჩაუტარებია, აღნიშნული დოკუმენტის სახით, საქმე გვაქვს მეცნიერულ დაკვირვებებსა და აკადემიურ პოზიციასთან. ავტორის აზრით, რუსთაველი განეკუთვნება მხატვრული სიტყვის იმ დიდოსტატთა რიცხვს, რომლებიც „სახელდების გარეშე ადიდებენ ქრისტეს“. აქ ყურადღებას იქცევს რუსთველოლოგიის აქტუალური პრობლემების ფართო კონტექსტში წარმოჩენა და პარალელულების გავლება საერთაშორისო კულტურის კორიფეებთან.

5. კათალიკოს კალისტრატეს ადგილი „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორიაში აღიარებულია. ამიერიდან, მის დამსახურებად ის ინიციატივა და პროვოცირებაც უნდა ჩაითვალოს, რომლის ნაყოფიც ეს დოკუმენტია. სასურველია, აღნიშნული დოკუმენტის ქართულად თარგმნა, პუბლიკაცია, და რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში მისი ადგილის განსაზღვრა.

თამარ პატარიკა, ვერონიკ სომარსი

ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია)

ბრიკოლ ნაზიანზელი: ლუვენ-ლა-ნევი – თბილისი, გამოცემა – სიმფონია

გვსურს წარმოვადგინოთ ერთობლივი მოხსენება, რომელიც წარმოაჩენს ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრში (ბელგია) თეგიგირებულ კორპუსსა და ლემატიზებურ სიმფონიაზე მუშაობის პროცესში მოპოვებულ მნიშვნელოვან წარმატებას. ისინი შემადგენელია NLP პროგრამული უზრუნველყოფით და მისადაგებულია ბერძნულ და აღმოსავლურ ენებთან (<https://uclouvain.be/fr/instituts-recherche/incal/ciol/gregori-project.html>).

მოხსენების პირველი ნაწილში შევეხებით ბერძნულ სიმფონიას და ვაჩვენებთ, როგორ ხდებოდა მისი შედგენა პროექტის საწყისი ეტაპიდან დღემდე. ეს არის კარგი შესაძლებლობა, პატივი მივაგოთ პროფ. ჯ. მოსეის (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრი) და პროფ. ე. მეტრეველს (ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი), რომლებმაც საფუძველი დაუდეს გრძელვადიან თანამშრომლობას ამ ორ ინსტიტუციას შორის. სამეცნიერო თანამშრომლობის ძირითადი საკითხი იყო გრიგოლ ნაზიანზელის (IV ს.) თხზულებათა პირველი კრიტიკული გამოცემის მომზადება, შემდგომ კი ლემატიზებული სიმფონიის პუბლიკაცია. მოხსენების მეორე ნაწილში ნაჩვენებია იქნება, თუ როგორ იქნა გამოყენებული პროექტის ბოლო ეტაპის მიღწევები სხვა ტექსტებთან (პატრისტიკული, ისტორიული და ა. შ.) და ენებთან (სომხური, ქართული, არაბული, სირიული და ა. შ.) მიმართებაში. ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო ქართულ ენაზე. მოხსენების დასასრულს, წარმოვადგენთ ჩვენი პროექტის საბოლოო მონაპოვარს – ონლაინ ბილინგვურ სიმფონიას.

მაია რაფავა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

ტაო-კლარჯეთიდან ათონამდე, ათონიდან – გელათამდე: ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვალდაკვალ

1. ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ყველაზე ადრეულ, წმინდა წერილის თარგმნის, პერიოდს ენაცვლება ტაო-კლარჯეთის საღვთისმეტყველო-სამწიგნობრო კერის საქმიანობის (IX-X სს.) პერიოდი, როცა სომხურიდან ქართულად თარგმნას ფართო ხასიათი მიეცა. სომხური მწერლობით დიდ დაინტერესებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ტაოელი მოღვაწეები ხშირად ვერ ფლობენ ბერძნულს და თარგმნიან სომხურ წყაროებს. X საუკუნის ბოლოსთვის სომხური მწერლობის მიმართ ინტერესი ნელდება. ამას ძირითადად, სამწერლობო ცენტრის ტაოდან ათონზე გადანაცვლება განაპირობებდა.

2. ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობამ განაპირობა ბერძნული წყაროების უშუალოდ თარგმნის ტენდენციები, „თვნიერ სომხურისა“. მდიდარი ბიზანტიური ლიტერატურული ძეგლების ინტესიურად თარგმნასთან ერთად, ქართველ ათონელთა შემოქმედებით საქმიანობაში თავი იჩინა კონფესიური განსხვავებით გაპირობებულმა სომხური მონოფიზიტური მრწამსის კრიტიკამ და მასთან პოლემიკამ. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მოგვიანებით, XI საუკუნის ბოლოსთვის, ქართველი მოღვაწეების მიერ სომხური მონოფიზიტობის კრიტიკამ სისტემური ხასიათი მიიღო. ამ მხრივ, ყველაზე თვალსაჩინოა არსენ იყალთოელის „დოგმატიკონი“.

3. ქართული კულტურულ-სამნიგნობრო ცენტრის გელათში დაფუძნების შემდეგ ქართულ-სომხურმა ლიტერატურულმა ურთიერთობამ სრულიად საპირისპირო მიმართულება მიიღო. გელათის სამწერლობო ცენტრის აყვავების ხანაში, ასევე უშუალოდ მის წინარე ან მომდევნო პერიოდში, აქტიურად გამოიკვეთა სომეხ მოღვაწეთა დაინტერესება იმ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ნაწარმოებებით, რომლებიც გელათში იქმნებოდა.

4. XIII საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ საქართველო-სა და ტრაპიზონის იმპერიაში ჩანს ორი სომეხი მწიგნობარი, რომლებიც ქართულიდან სომხურად თარგმნიან დიოფიზიტური ხასიათის მნიშვნელოვან ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო შინაარსის თხზულებებს. ესენი არიან სიმეონ პლინძაჰანეცი და პაპა მინასი. სომეხი მთარგმნელების მიერ ქართულიდან შესრულებული თარგმანებიდან მეცნიერულად შესწავლილია მხოლოდ ორი ძეგლი: იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“ და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ იოანე პეტრიწის განმარტებებით. კვლევის შედეგად, აშკარა ხდება, რომ ქართულიდან თარგმნილ სომხურ ტექსტებს მთელი რიგი სიახლეების გამოვლენა შეუძლია, როგორც კონკრეტული ძეგლების შესწავლის, ისე ზოგადად გელათის, როგორც საშუალო საუკუნეების მნიშვნელოვანი სამნიგნობრო ცენტრის, შემოქმედებითი ავტორიტეტისა და გავლენების მასშტაბის კვლევის მხრივ.

შარლ ჩანუ

*სამეცნიერო კვლევების საფრანგეთის ნაციონალური ცენტრი
(პარიზი, საფრანგეთი)*

იადგარი: მისი ისტორიული, ლიტურგიკული და საღვთისმეტყველო მნიშვნელობა

დღესდღეობით, წმ. პავლეს ავტორობით ცნობილ ეპისტოლეთა საგალობლების გარდა, ელენე მეტრეველისა და მისი თანამშრომლების მიერ გამოცემულ ქართულ ხელნაწერებზე ადრეული ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია ცნობილი არაა. ამ ტექსტების ყველაზე ძველ ფენას, კირილე იერუსალიმელის კატეხიზმოსა და ეგერიას „მოგზაურობასთან“ არსებული პარალელების საფუძველზე, მივყავართ IV საუკუნის იერუსალიმურ ლიტურგიკამდე.

ამ სიძველის ყველაზე კარგი დადასტურებაა 614 წელზე ადრეული, ლატალის ლექციონარში არსებული რამდენიმე საგალობელი. ევქარისტული დღესასწაულისა და მწუხრის განგების აღსრულების სტრუქტურა ნათლად გვიჩვენებს ქართული მასალის კავშირს ზემოთ დასახელებულ წყაროებთან. საგალობელთა საღვთისმეტყველო თემები ცხადყოფენ, რომ ეკლესიათა ლიტურგიკული ლოცვები მიმართული იყო ქრისტეს საიდუმლოებისკენ: ვნების, გარდაცვალებისა და აღდგომისკენ.

ტატიანა საბიანიანი

ერმიტაჟის სახელმწიფო მუზეუმი (სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი)

სამეცნიერო რესტავრაციისა და გრაფიკის კონსერვაციის ლაბორატორიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სამეცნიერო რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორია ერმიტაჟის სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთი უძველესი ლაბორატორიაა. მისი ისტორია მჭიდრო კავშირშია მუზეუმის ისტორიასთან. გრაფიკის პირველი სახელოსნო 1920-1930-იან წლებში გაიხსნა. 1993 წლიდან მოყოლებული, ლაბორატორია ერმიტაჟის თეატრის ბოლო სართულზეა განლაგებული.

ჩვენი ლაბორატორია სახელმწიფო ერმიტაჟის სამეცნიერო დეპარტამენტების ორმოცზე მეტ კურატორთან თანამშრომლობს.

ლაბორატორიაში ცხრამეტი რესტავრატორია. ისინი მუშაობენ XI-დან XXI საუკუნემდე პერიოდის დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთის ქვეყნების და რუსეთის გამოჩენილი მხატვრებისა და გრაფიკების მიერ შექმნილ შედეგებზე. ლაბორატორიაში საკონსერვაციოდ შემოსული დოკუმენტებისა და ნიგნების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ. წ. XV საუკუნიდან დღემდე პერიოდს მოიცავს. ლაბორატორიის სპეციალისტები რამდენიმე მთავარი მიმართულებით მუშაობენ. ისინი ახდენენ გრაფიკული ნამუშევრების, საბიბლიოთეკო და საარქივო მასალის, ნიგნების ფურცლების, დოკუმენტებისა და აკინძული ნიმუშების კონსერვაციას. 2004 წლის ოქტომბრიდან ლაბორატორიაში გაიხსნა საამკინძაო, სადაც ხდება მასიური ტირაჟით გამოცემული ბექედური ნიგნების კონსერვაცია, აგრეთვე სახელმწიფო ერმიტაჟის

განყოფილებების სარეგისტრაციო ნიგნების რესტავრაცია. 2013 წლის აპრილში, საამკინძაო ახალ შენობაში, კერძოდ „სტარაია დერევენის“ სარესტავრაციო და საცავ ცენტრში გადავიდა.

ყველა დოკუმენტს, სათითაოდ, პოლიესტერის პარკში ათავსებენ. დასამუშავებელი ერთეულების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამოფენების მზარდმა რიცხვმა, მუდმივი ექსპოზიციების განახლებამ და სახელმწიფო ერმიტაჟში თანამედროვე ხელოვნების განყოფილების გახსნამ განაპირობა.

გრაფიკის კონსერვაციის სპეციალისტები მუშაობენ ნახატების, გრაფიურების, აკვარელით, გუაშითა და პასტელით შესრულებული ნახატების, მინიატიურებისა და ჩინური „ნიანხუა“ ნახატების კონსერვაციას. მათ მუშაობა, ძირითადად, ქალაქის მასალაზე უწევთ.

ლაბორატორიაში შემოდის უფრო მეტი ნიმუში, რომლებიც ეტრატზე, ძვალსა და ტეტრაპანაქსზეა შესრულებული. ხდება აგრეთვე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია.

ლაბორატორიის კონსერვაციის სპეციალისტებს საკუთარი მუშაობის შედეგების გამოქვეყნებისა და სამეცნიერო მიღწევების გაზიარების შესაძლებლობა პერიოდული გამოცემების ფურცლებზე აქვთ, რომლებიც სახელმწიფო ერმიტაჟის სარედაქციო და საგამომცემლო განყოფილების მიერ გამოიცემა.

ტიმოთი სვილორსი

ტუბინგენის უნივერსიტეტი (გერმანია)

ქართული თარგმანით შემონახული II საუკუნის ქრისტიანული მწერლობის კაგლაჰი კვალ ქართულ ხელნაწერებში (მოკლე მიმოხილვა)

იმ მეცნიერთაგან, ვინც მეორე საუკუნის ქრისტიანულ ლიტერატურაზე მუშაობს, შესაბამისი პერიოდის ძველქართულ ვერსიებს მხოლოდ რამდენიმე თუ დაუთმო სათანადო ყურადღება. წარმოდგენილი მოხსენების მიზანია, გამოასწოროს მდგომარეობა, ყურადღება მიაპყროს ქართულ თარგმანებს, ფართოდ მიმოიხილოს და შეაფასოს ისინი. ამ მიმოხილვაში არ შემიტანია II საუკუნის დასაწყისის ნაწარმები: ისინი, საბოლოოდ, ახალი აღთქმის ნაწილი გახდა და მრავალრიცხოვან ქართულ ბიბლიურ ხელნაწერებში იძებნება. თუმცა, გამონაკლისია დაახლ. II საუკუნის მიწურული დათარიღებული ტექსტი, კერძოდ მარკოზის სახარების განვრცობილი დაბოლოება. ამასთან ერთად, მოხსენებაში განხილულია II საუკუნის შემდეგი ლიტერატურა ან ტრადიციები: „ჰერმასის მწყემსი“, თომას „მაცხოვრის ყრმობის სახარება“, იაკობის პროტოსახარება, ტატიანეს „დიატესარონი“ (?), მელიტონ სარდინელის შრომები, „ანდრია და მატათას საქმენი კაციჭამიების ქვეყანაში“, პეტრეს საქმენი (სულ მცირე, წმ. პეტრეს მარტივობა), პავლეს საქმენი (ან ზოგიერთი მისი შემადგენელი ნაწილი) და თხზულება, რომელსაც ჰქვია „ქრისტესა და ეკლესიების შესახებ“. მართალია, ამგვარი მიმოხილვა რაიმე სახის დეტალურ ანალიზს შეუძლებელს ხდის, თუმცა, ის იძლევა დამატებით საფუძველს იმისათვის, რომ უადრეს ქრისტიანულ ლიტერატურაზე მომუშავე მეცნიერებმა ზემოთ თხზულებების სხვა ენაზე თარგმანები გაითვალისწინონ. სხვაგვარად, მათში არსებული მასალა მხედველობის მიღმა იქნება დარჩენილი.

ქათავან ტატიშვილი, ნინო ქავთარია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

დასურათებულ ხელნაწერებში დაცული მინიატიურების შესწავლის ახალი მიმართულებები და მეთოდები

ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა ქრისტიანული ხელოვნების განუყოფელი ნაწილია. IX-XVIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში ჩართული მინიატიურული მხატვრობის ნიმუშები თემატური და იკონოგრაფიული მახასიათებლების ფართო სპექტრით გამოირჩევა. XX საუკუნის ბოლოდან ხელნაწერთმცოდნეობის განვითარებისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო მიმოქცევაში დაწერგვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა კვლევის ახალ მიმართულებებსა და მეთოდებს ენიჭება, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ბაზებს.

ხელნაწერისა და მინიატიურული მხატვრობის შესწავლის დროს, არაერთხელ წამოიჭრა საკითხი ტექსტისა და ვიზუალური მასალის, კოლოფონების, ხელნაწერთან დაკავშირებული სხვა მახასიათებლების, სიუჟეტების, ფიგურებისა თუ ცალკეული თემების შინაარსობრივ პრობლემებზე, მათ სიმბოლურ-სახისმეტყველებით მნიშვნელობაზე და იმ იკონოგრაფიულ კანონზე, რომლის გათვალისწინებითაც ერთი და იგივე სიუჟეტი საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა.

იკონოგრაფია ასახავდა შუასაუკუნეობრივი მსოფლალქმის ნყობას, ხელოვნების ფილოსოფიურ და ზნეობრივ კრიტერიუმებს; იკონოგრაფიის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ ეპოქის მხატ-

ვრული ნიმუშების არსის გაგება; იკონოგრაფიისა და მისი ლიტერატურული საფუძვლების ცოდნას არა მხოლოდ ზოგადკულტურული ან ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ პრაქტიკულიც. ცალკეული მხატვრული სკოლებისა თუ ეპოქების შესწავლისას, მათი თარიღისა და წარმომავლობის განსაზღვრისათვის იკონოგრაფიის ცოდნა აუცილებელი კომპონენტია. კომპოზიციის იკონოგრაფიული სქემა საშუალებას გვაძლევს, მეცნიერული დასაბუთების გზით აღვადგინოთ ეპოქის შესაბამისი სიუჟეტი თუ სცენა.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოსა და მსოფლიოს სხვა სიძველეთა საცავებში დაცულ ქართულ დასურათებულ ხელნაწერთა კორპუსის საფუძველზე, შეიქმნა მონაცემთა ციფრული ბაზა, რომელიც მოიცავს IX-XVIII საუკუნეების მოხატულ ხელნაწერებში ჩართულ მინიატიურულ კომპოზიციათა სრულ იკონოგრაფიულ ინდექსს; ციფრული ჰუმანიტარიის ფარგლებში შეიქმნა სპეციალური პროგრამა – Online მონაცემთა ბაზა (MSSQL-ის საფუძველზე), რომელმაც საშუალება მოგვცა, დაგვეწყო ქართული მასალის დამუშავება და ატვირთვა.

მოხსენება მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს დასურათებულ ხელნაწერებში დაცული მინიატიურების შესწავლის ახალი მიმართულებები და მეთოდები.

პარნარ უტი

სამეცნიერო კვლევების საფრანგეთის ნაციონალური ცენტრი (პარიზი, საფრანგეთი)

სინას მთის ქართული ხელნაწერები №84 და №90: მათი რაობის ახლებური გააზრება

სინას მთის ქართული ხელნაწერები №84 და №90 ერთი და იმავე ხელნაწერის ნაწილებია. ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების კატალოგში მათი შინაარსი ბოლომდე არ არის განსაზღვრული. ჩვენ ვაპირებთ, რომ ამ ფრაგმენტების ზუსტ რაობას ნათელი მოვფინოთ: ესაა დღემდე უცნობი ჰომილეტიკური და სამონასტრო ტექსტები.

თავი ქართველი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

თამარ ქორიკა

საქართველოს უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო)

ქართლისა (აღმოსავლეთ საქართველოს) და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსები და მათი ტიტულატურა XV-XVIII საუკუნეებში

XV საუკუნის მეორე ნახევარში, ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური იერარქების ინიციატივით, საქართველოს ეკლესიაც გაიმიჯნა ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებად, მაგრამ ამ მოვლენის გამო, ქართლისა და აფხაზეთის კათოლიკოსებს ღია ურთიერთდაპირისპირება არ ჰქონიათ. თუმცა, მათ შორის, იდეოლოგიურ დონეზე, იგრძნობა ფარული ანტაგონიზმი, რასაც კათოლიკოს-პატრიარქთა ტიტულატურის ანალიზი ცხადყოფს.

საქართველოს ეკლესიისაგან აფხაზეთის კათოლიკოსის გამოყოფას ქართლის კათოლიკოსთა ტიტულატურაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოჰყოლია. რაც შეეხება აფხაზეთის კათოლიკოსთა ტიტულატურას, XV საუკუნემდე მის შესახებ ინფორმაცია იმდენად მწირია, რომ ძნელია თქმა, როგორი იყო ის ეკლესიურ გაყოფამდე. თუმცა, აშკარაა, რომ გამოყოფის შემდეგ, აფხაზეთის კათოლიკოსთა ტიტულატურაში აშკარად ისეთი ცნებები ჩნდება, რომლებიც ქართლის კათოლიკოსთან

მისი უფლებრივი გათანასწოების პრინციპითაა შემუშავებული და მიზნად ისახავს მისი ავტონომიური არსებობის კანონიკურ გამართლებას.

ქართლის კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უფლის კვართისა და მასზე დაფუძნებული სვეტიცხოვლის ტაძრის მოხსენიებას, რაც იგულისხმებოდა სვეტიცხოვლის ეპიტეტი – „ჩრდილოეთ კედარი“. მცხეთის და ზოგადად, ქართლის „ჩრდილოეთად“ გააზრებას საფუძვლად უდევს იერუსალიმური კულტურულ-სარწმუნოებრივი ტრადიცია. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების გამიჯვნის შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსოსთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მცხეთასთან, როგორც „ახალ იერუსალიმთან“, გათანაბრებას, ამიტომაც „მცნებაჲ სასჯულოს“ ავტორებმა აფხაზთა ახლად ნაკურთხი კათოლიკოსი იოვაკიმე „იერუსალიმის მარჯვენად“ გამოაცხადეს. ამის ფონზე, ჩანს, ქართლის კათოლიკოსებმაც მიზანშეწონილად მიიჩნიეს იერუსალიმის თემის კვლავ წამოწევა, რისი შედეგიცაა XVI საუკუნის დასაწყისიდან მათ ტიტულატურაში მცხეთის საყდრის ძველი სიმბოლური სახელწოდებების დაბრუნება.

აფხაზეთის კათოლიკოსის ტიტულში ანდრია პირველნოდებულთან თანამოსაყდრეობის ხაზგასმა ქართლის კათოლიკოსთან მისი არა მხოლოდ გათანაბრების, არამედ უპირატესობის მოპოვებისა და ქართლის, როგორც წმინდა ნინოს მიერ დაარსებული ეკლესიის დაქვემდებარების შესაძლებლობის კანონიკურ საფუძველს წარმოადგენდა.

გვიან შუა საუკუნეებში ქართლისა და აფხაზთა კათალიკოსების ტიტულატურაში, როგორც წესი, მზა სახით გადადიოდა უკვე ჩამოყალიბებული ფორმულები, რომელთა შინაარსის მნიშვნელობა არ შეესაბამებოდა რეალობას, ამიტომაც ხშირია ზეამატებული წოდებები, თუმცა კათოლიკოს-პატრიარქთა ტიტულის კორექცია თუ ძველი ფორმულების განახლება, გარკვეულ შემთხვევებში, პოლიტიკური კონიუნქტურით იყო განპირობე-

ბული. აფხაზეთის კათოლიკოსები კონსტანტინოპოლის დაცემისა და აღმოსავლეთის მართლმადიდებლური საპატრიარქოების დაკნინების შემდეგ, ვიდრე რუსეთის ეკლესიის გაძლიერებამდე, თავს „მსოფლიო“ პატრიარქსაც კი უწოდებდნენ.

„ოსმალბის“ დროს, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვის მიზნით, კონსტანტინოპოლის პატრიარქთან წარმოებულ მოლაპარაკებებისას, ქართლის კათოლიკოს დომენტი IV-ის ტიტულში კვლავ ფიქსირდება ოსმალთაგან მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს გეოგრაფიული ერთეული. კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი მიმართული პოლიტიკის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს ქართლის მომდევნო კათოლიკოსების ტიტულში „ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთის მაკურთხეველის“ გაცოცხლება. ამ ფორმულის ისტორიული საფუძველი კი კონსტანტინოპოლური „ცენტრიზმის“ გაძლიერება იყო.

თინათინ ქრონცი

კიოლნის უნივერსიტეტი (გერმანია)

იმაპრატორები და წყალი: სიახლეები

იერუსალიმური კურთხევანის პროექტის შესახებ

კიოლნის უნივერსიტეტში (გერმანია) ძველქართული იერუსალიმური კურთხევანის შესწავლა მიმდინარეობს. თითოეული განსახილველი ხელნაწერის ლიტურგიული შინაარსის დეტალურმა ანალიზმა გასაოცარ აღმოჩენებამდე მიგვიყვანა.

ერთ-ერთი ქართული სინური ხელნაწერის რაობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ქალაქ იერუსალიმის საკათედრო ტაძრის კურთხევანი; მეორე ხელნაწერი, რომელიც მთლიანად სამონასტრო წესებს ეთმობა და მოიცავს სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს „საბა განწმენდილის მონასტრის განგების შესაბამისად“, სამონასტრო კურთხევანია, რომელიც, სავარაუდოდ, იუდეის უდაბნოს საბა განწმენდილის ლავრიდან მომდინარეობს. მესამე ხელნაწერის შინაარსი იძლევა შესაძლებლობას, ითქვას, რომ ეს არის კურთხევანი, რომელიც სინას მთაზე მოღვაწე ქართული თემისთვის იყო შექმნილი და მის მიერვე გამოიყენებოდა.

სააღდგომო ღამისთვის იერუსალიმში, რომელიც იერუსალიმური კანონარიდანაა ცნობილი და რომელიც ასახავს ლიტურგიული წესის განვითარებას წმინდა ქალაქში V-დან VII საუკუნის ბოლომდე, ახალი, დღემდე უცნობი სიახლით გამდიდრდა. ის X საუკუნის კურთხევანში აღმოჩნდა, რომელიც დღეისათვის სამ ნაწილადაა შემორჩენილი: Birmingham Mingana geo. 1 + Sinait. iber. 66 / O + Sinait. iber. 18 / O II.

იერუსალიმი და პალესტინა წყალკურთხევის დროს იყენებდნენ არა შუა აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულ ლოცვას, რომლის სანწყისი ფრაზაა „ეგას ეი, ყრიე ...“, არამედ განსხვავებულ ვერსიას, რომელიც გამოიყენებოდა ბიზანტიაში, მისი არსებობის მოგვიანო პერიოდში, სიკვდილის საფრთხის ქვეშ მყოფი პირების სასწრაფოდ მოსანათლად.

ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი აღმოჩენა მუსლიმური გავლენის ქვეშ მყოფი პალესტინის ქართულ ხელნაწერებში იყო კონსტანტინოპოლური წარმომავლობის ლოცვა იმპერატორისთვის, რომელიც შესულია წყალკურთხევის ლოცვებში.

ჩვენი გამოცდილება ადასტურებს სტეფანო პარენტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, კვლევებში შემდეგი საჭიროების არსებობის შესახებ: საკმარისი არ არის ხელნაწერის ტიპის – „კურთხევანის“ როგორც ასეთის, ან მისი ცალკეული ასლების შესწავლა, არამედ აუცილებელია [კრებულში შეტანილი] თითოეული ლიტურგიული დღესასწაულისა და მასთან კავშირში მყოფი ყველა კომპონენტის დეტალური შესწავლა.

ილიანა ჩაპალი

რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი (მოსკოვი, რუსეთი)

კორნალი კაპალიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პაპირუსზე შესრულებული გამოუქვეყნებელი დოკუმენტები ბრიტოლ ნაჩითლის კოლექციიდან

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წილზე შესრულებული ხელნაწერები, ერთ დროს გრიგოლ წერეთლის კერძო კოლექცია იყო. ისინი უაღრესად საინტერესოა ბერძნული პაპიროლოგიისა და ბერძნულ-რომაული ეგვიპტის საკითხებზე მომუშავე მკვლევართათვის, აგრეთვე საქართველოსა და რუსეთში ამ დისციპლინის ისტორიის, XX საუკუნის დასაწყისის პირველ ნახევარში, თბილისში უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცხოვრების შესასწავლად და სტუდენტებისთვის წერეთლის ბიოგრაფიისა და მემკვიდრეობის გასაცნობად.

კოლექცია შეიცავს წილის ფრაგმენტებს, რომლებმაც II-VII საუკუნეებში ძველბერძნულ და ლათინურ ენებზე შესრულებული დოკუმენტები შემოგვინახა. მათში შესაბამისი პერიოდის ეგვიპტის ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებაა ასახული. გწერეთლის კოლექცია, აგრეთვე, შეიცავს მნიშვნელოვან დოკუმენტებს (წერილებს, სტატიების მონახაზებსა და შავ ნაბეჭდებს), რომლებიც ნათელს ჰფენს წილზე შესრულებულ დოკუმენტებზე მისი მუშაობის პროცესს. მეცნიერი თავისი კვლევის შედეგებს გამოსაქვეყნებლად ამზადებდა, თუმცა გამოქვეყნება ვერ მოახერხა, რადგან სტალინური რეპრესიების დროს დაიღუპა.

მოსხენებაში მიმოვიხილავ კოლექციის გამოუქვეყნებელ ნაწილსა და მასზე გ. ნერეთლის მუშაობის შედეგებს. განხილული იქნება XX და XXI საუკუნეებში ამავე კოლექციაზე სხვა მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოები; ვაჩვენებ, რომ სამეცნიერო საზოგადოების ამ საქმეში ჩართულობა ჯერ კიდევ არასაკმარისია. შემდეგ შევხები იმ ბოლოდროინდელი კვლევის შედეგებს, რომლებიც პროფ. ფრიც მიტოფმა, დოქტორმა სოფია კოვარიკმა (2006) და დოქტორმა ელენა ჩეპელმა (2017-2018) მოიპოვეს. საუბარი იქნება ჭილზე შესრულებული, ხელნაწერთა ცენტრში დაცული დოკუმენტების შესწავლის სამომავლო პროექტზე, რათა ისინი ხელმისაწვდომი გახდნენ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის; ვისაუბრებ, აგრეთვე, პროექტის მოსალოდნელ შედეგებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ექნება პაპიროლოგიისათვის, ნყაროთმცოდნეობისა და არქივთმცოდნეობისათვის.

ინო ციციშვილი

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)*

კულტურათა გზაჯვარედინზე: XVIII-XIX საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელნაწერის შემაჯობა

XVIII-XIX საუკუნეების ქართულ მოხატულ საეკლესიო ხელნაწერებს შორის, ვხვდებით ნიმუშებს, რომლებიც, ერთი მხრივ, სპარსული ორნამენტული მოტივებით და/ან დეკორატიული ფერადხაზოვანი ჩარჩოთი იმკობა, მეორე მხრივ კი, სიუჟეტურ გამოსახულებებში დასავლეთევროპულ მხატვრულ და იკონოგრაფიულ თავისებურებებთან ამჟღავნებს სიახლოვეს. ამ მხრივ, საგულისხმოა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრსა და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული რიგი ხელნაწერების მხატვრული გაფორმება: რუისის ეპისკოპოსის ნიკოლოზ ორბელიანის დაკვეთით, გაბრიელ დეკანოზიშვილის მიერ გადაწერილი ჟამისწირვა (1713 წ., A-866); ვახუშტი აბაშიძის სურვილით ნიკოლოზ სიონის დეკანოზის შვილის ხელით გადაწერილი კრებული (1746 წ., A-1454), იბაკონი წმიდისა ღვთისმშობლისანი (XVII-XVIII სს., A-353); თომა კემფელი, მიბაძვა ქრისტესი (XIX ს., S-98); სახარება და ლოცვანი (ორივე XVIII ს., K-377, K-418); სახარება მათესი და მარკოზისა, (XIX ს., K-677).

XV-XVI საუკუნეების მიჯნიდან, პოსტბიზანტიური მხატვრული ტრადიციის პარალელურად, საეკლესიო ხელნაწერში თავჩენილი ისლამური დეკორატიულ-ორნამენტული მოტივები XVII

საუკუნეში უკვე ინტენსიურ ხასიათს იძენს და, ამავე ასწლეულის მეორე ნახევრიდან, კათოლიკური დასავლეთისადმი გამძაფრებული ინტერესის მიუხედავად, XVIII-XIX საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას. საეკლესიო ხელნაწერის შემკულობაში სპარსულ-ოსმალური ელემენტების არა ეპიზოდური „შეჭრა“, არამედ საკმაოდ მყარ ტრადიციად ქცევა, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს აყენებს ჩვენ წინაშე, როგორებიცაა: დამკვეთის გემოვნებისა და სკრიპტორიუმების თუ რეგიონული ტრადიციის მნიშვნელობა, საეკლესიო და საერო მინიატიურის კავშირი, ხელნაწერთა მხატვრობისა და სახვითი ხელოვნების სხვა დარგების ურთიერთმიმართება და ა. შ.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ეპოქისეული კულტურულ-პოლიტიკური პროცესების გამოხატულება სამინიატიურო ხელოვნებასა და სახვითი ხელოვნების სხვა დარგებში.

თამარ ჭუმბურიკა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)

ქართველოლოგიის ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო: იულიუს ასფალგის პირადი წერილები

ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით უცხოელ მკვლევრებს: მარი ბროსეს, ჟერარ გარიტს, ადოლფ ჰარნაკს, ანტონ ბაუმშტარკს, და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპებს, რობერტ ბლეიკს, პაულ პეეტერსს, ჰუგო შუხარდტს და სხვ. აქვე უნდა დავასახელოთ ჩვენი თანამემამულენი – ქართველი მეცნიერები, რომელთაც, სხვადასხვა გარემოების გამო, უცხოეთში მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ სულიერად არასოდეს მოსწყვეტიან მშობლიურ ნიადაგს და ქართული კულტურის ძეგლების აღწერის, შესწავლისა და გამოცემის საქმეს მოახმარეს საკუთარი ნიჭი და ენერჯია. ესენი არიან: მიხეილ თამარაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, ვიქტორ ნოზაძე, კიტა ჩხენკელი, გრიგოლ ფერაძე.

უცხოელ ქართველოლოგთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ცნობილი გერმანელი მკვლევარი იულიუს ასფალგი. იგი ფილოლოგიურ ნრეებში კარგადაა ცნობილი, როგორც მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური ნაშრომების ავტორი. ასფალგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მიუნხენის უნივერსიტეტში, ქრისტიანული აღმოსავლეთის კათედრას და იყო ჟურნალ „Oriens Christianus“-ის გამომცემელი.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მისი მიმონერა ქართველ მეცნიე-

რებთან. მათგან, დიდი ნაწილი ევროპაში მოღვაწე ქართველ მეცნიერთან – მიხეილ თარხნიშვილთან მიმონერაა. როგორც ასფალგი აღნიშნავდა, მას სწორედ თარხნიშვილმა გაუღვივა ინტერესი ქართული ენისა და ლიტერატურისადმი და „ნამდვილი ქართული გულისხმიერებით“ ეხმარებოდა ქართულის შესწავლაში. გერმანელი მეცნიერიც, თავის მხრივ, დიდ დახმარებას უწევდა მ. თარხნიშვილს მის ფუნდამენტურ ნაშრომზე „Geschichte der kirchlichen georgischen Literatur“ მუშაობისას ტექსტის გამართვასა თუ სამეცნიერო ლიტერატურის შევსებაში. ამ ორი დიდი მეცნიერის ინტერესები და თანამშრომლობა მათ პირად წერილებშია ასახული.

საქართველოში მოღვაწე ქართველ მეცნიერთაგან, იულიუს ასფალგი აქტიურად თანამშრომლობდა აკაკი შანიძესა და ივანე იმნაიშვილთან. ის ასევე ხელნაწერთა ინსტიტუტის დიდი მეგობარი და გულშემმატივარი იყო, რაც კარგად ჩანს მის წერილებში ილია აბულაძისა და ელენე მეტრეველისადმი. იულიუს ასფალგის წერილებში მოხსენიებულნი არიან ცნობილი ევროპელი ქართველოლოგები, ნათლად შეიმჩნევა იმ პერიოდის სამეცნიერო წრეების ინტერესი ქართველ მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებისადმი და ამ ნაშრომების მოძიებასა და მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ წერილებში მოცემული ცნობები ქართულ ხელნაწერებზე. საქართველოში პირველად სწორედ ასფალგისაგან გაიგეს გეტინგენში დაცული ქართული პალიმფსესტების შესახებ. მნიშვნელოვანია ასევე მის მიერ მოწოდებული ცნობები ლაიფციგში დაცული ხუთი ქართული ხელნაწერის შესახებ, რომელთაგან ოთხი კ. ვულერსის კატალოგში სომხურად იყო მიჩნეული.

იულიუს ასფალგის წერილები საინტერესო მასალას წარმოადგენს მკვლევართათვის, როგორც ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობის, ისე ქართველოლოგიის აქტუალური საკითხების დასმისა და კვლევა-ძიების თვალსაზრისით.

ლელა ხაჩიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

რომანოზ მელიქოძის საგალობლების ქველი ქართული თარგმანები

რომანოზ მელიქოძის საგალობლების ქართული თარგმანები დღეისათვის შეუსწავლელია. ჩვენ მიერ წინამდებარე კვლევაში განხილულია ძველქართულ ხელნაწერებში რომანოზის სახელით წარწერილი საგალობლები, აგრეთვე ის სახელწაუნერელი საგალობლები, რომლებიც რომანოზის მიერ შემოღებული პოეტური ფორმის („კონტაკიონი“ ანუ „იბაკონი“) ნიმუშებია. ამ ტიპის საგალობლები ქართულ ჰიმნოგრაფიაში, როგორც ჩანს, VII საუკუნიდან ჩნდება. უძველეს ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულში – „იერუსალიმის ლექციონარი“ სახელწაუნერლად შესული „იბაკონი“ გვხვდება არქაულ ლიტურგიკულ განგებაზე – ვნების შვიდეულში. ამავე ტიპის საგალობლები სახელწაუნერლადაა შესული „ახალი ტიპის იადგარებსა“ და ექვთიმე მთაწმიდელისეული რედაქციის „მარხვანში“.

რომანოზ მელიქოძის საგალობლების მთელი ციკლის შემოტანა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, როგორც ირკვევა, გიორგი მთაწმიდელის სახელს უკავშირდება. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ „მარხვანში“ (Georgica 5) რომანოზ მელიქოძის ათამდე „იბაკონია“ შესული ავტორის მითითებებით. ამ საგალობელთა ქართული თარგმანები თავად გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს.

დღისათვის გამოქვეყნებულ ბერძნულ და სლავურ „მარხვანებში“ სახელნაუნერლადაა შესული რომანოზის იმ საგალობლების ცალკეული მონაკვეთები, რაც ქართულ ხელნაწერებში სრული ტექსტებითაა დაცული. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ბერძნულ-სლავური „მარხვანების“ არსებული პუბლიკაციები ხელნაწერთა შედარებით გვიანდელ ტრადიციას ემყარება.

თეიმო ჯოჯუა

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი, საქართველო)*

ტაო-კლარჯეთის ქართული ეპიგრაფიკული ქაბლაზი: მირანესის ეკლესიის 954 წლის წარწერა

2017 წლის 11 ივლისს საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის (ხელმძღვანელი – თემურ ხუციშვილი) სამეცნიერო ექსპედიციის წევრებმა: ლევან ნიქარიშვილმა, ანი იმედაშვილმა, შალვა კოლუაშვილმა და ბებურ გოზალიშვილმა ისტორიულ ტაოს პროვინციაში, თურქეთის რესპუბლიკის ერზურუმის ილის შენკაიას ილჩეს სოფელ მერენესში (Yukari Bakraçli) უცნობ ქართულ ასომთავრულ წარწერას მიაკვლიეს.

წარწერა რვასტრიქონს შეიცავს და კვადრატული მოყვანილობის ქვაზეა (58×45 სმ.) ამოკვეთილი. წარწერიანი ქვა, თითქმის, მთლიანად დანგრეული ეკლესიის საფასადო ნყოფაში იყო ჩადგმული. ამჟამად, ეკლესიის ნაშთები განაშენიანების ზონაშია მოქცეული და შენობა-ნაგებობებითა და მიწის ნაკვეთებით არის დაფარული.

2017 წლის ივლისის დასაწყისში, ნაეკლესიარის ტერიტორიაზე წყლის გაყვანის სამუშაოები დაიწყო და მიწის ამოთხრის დროს, წარწერიანი ქვას წააწყდნენ. მოგვიანებით, ქვა ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების ოჯახში გადაიტანეს. გადატანის დროს, ქვის წარწერიანი ზედაპირი მცირედ დაზიანდა. დღეისათვის წარწერიანი ქვა კვლავ კერძო პირის ოჯახში ინახება.

მერენესის ეკლესიის წარწერას, ტექსტის დაზიანებული ადგილების აღდგენისა და ქარაგმების გახსნის შემდეგ, ასეთი სახით ვკითხულობ:

„[გ(ა)რდ(ა)ი]ც[ვალააშ(ო)ტ | [კ(უ)რ(ა)პ(ა)ლ(ა)]ტი ქრ(ო)ნ(ი)კ(ო)ნსა | [რ]ჲიდ (174+780=954 წ.), თ(უეს)ა ი(ა)ნვ(ა)|რსა კე (25). ლ(მერთმა)ნ დ(იდე)ბ(უ)ლ ყ(ვ)ენ ს(უ)ლი მ(ა)თი.

აღ(ე)შ(ე)ნა [ნ(მიდა)ჲ | ეკლ(ე)სი(ა)ჲვ(ე)ლითა მ(ი)ქ(ა)ე)ლ(ი)ს(ი)თ[ა], | ლ(უ)ერკ(ე)ლ(ი)ს(ი)თა და თ(ო)მ(ა)ს(ი)თა, | [-]რთვ(ს)ი(თა) (?), [-]მ[-]თრ(ს)ი(თა) (?), [ა(მ)ენ] (?).“

მერენესის ეკლესიის წარწერის ტექსტი, შინაარსობრივად, ორ ნაწილად იყოფა. აქედან, წარწერის პირველი ნაწილი გვაუწყებს, რომ 954 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა „აშოტ კურაპალატი“, ანუ ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს ერთ-ერთი ხელმწიფე, ბაგრატიონთა სახლის ტაოს შტოს წარმომადგენელი, ოპიზის მონასტრის სახელგანთქმულ ქტიტორულ რელიეფზე გამოხატული ისტორიული პირი – კურაპალატი აშოტ II.

მერენესის ეკლესიის წარწერის მეორე ნაწილი მოგვითხრობს, რომ 954 წელს, კურაპალატ აშოტ II-ის გარდაცვალების შემდგომ, ახლოხანებში აიგო „წმიდა ეკლესია“ ანუ წარწერის შემცველი ტაძარი. წარწერა გვაუწყებს, რომ ეკლესიის მშენებლობაზე მოშაობდა ხუთი (?) ოსტატი: მიქაელი, ღვერკელი და თომა, აგრეთვე, კიდევ ორი (?) პირი, რომელთა სახელების ამოკითხვაც, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება.

მერენესის ეკლესიის 954 წლის წარწერის აღმოჩენა მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოვლენაა. მისი ტექსტი მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს ისტორიისა და ქრონოლოგიის, შუა საუკუნეების ქართული პალეოგრაფიისა და ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესწავლისათვის.

TAMAR ABULADZE

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia)

MANUSCRIPTS OF SCIENTIFIC CONTENT: INTERDISCIPLINARY STUDY, RESULTS AND PROSPECTS

Manuscripts of scientific content, as a multicultural phenomenon, envelope multi-branch knowledge, reflect results of its spreading, development and transformation conditioned by cultural and historical context. This material (of the western, oriental and Muslim origin) demands for interdisciplinary study, systematization, special historical-scholarly study combined with the methods of codicology, history, linguistics, natural sciences, exact sciences and other branches of science. Simultaneously, at the modern stage of development, studies of this type should involve the creation of digital products for wider dissemination and promotion of deeper studies.

Multi-branch manuscripts of early and late Middle Ages in Georgian, Arabic and Persian, which contain scientific information and unique data, narratives, collections, special glossaries, educational anthologies, encyclopaedias, etc. are preserved at different archives. Interdisciplinary study of these materials has been launched. Namely, the following has already been accomplished:

a) The joint project “Georgian, Persian and Arabic Astronomical Manuscripts in Georgia” (Head of the project: Irakli Simonia. Participants: Tamar Abuladze, Liana Samkurashvili, Nestan Chkhikvadze, Ketevan Pataridze and Giorgi Meladze) was implemented jointly by the K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts and Ilia State University. The project was funded by Shota Rustaveli National Science Foundation. More

than 300 Georgian and 60 Arabic and Persian astronomical manuscripts have been analyzed under the project: astronomical compositions, fragments of astronomical content found in church, secular and combined literature, or composition fragments; various collections, which contain passages of astronomical content, or complete astronomical works; combined astronomical and astrological works with prevalent astronomical content.

Digital book “Astronomical Manuscripts in Georgia” has been produced. An interactive database constitutes the main part of the book. It comprises rich textual and graphical information, catalogues, tables, instructions and etc. The database is based mainly on Georgian astronomical manuscripts, including the exegetical works of St. John of Damascus, St. Basil the Great, St. Gregory of Nyssa translated into Georgian in 10th-12th centuries by Giorgi Mtatsmindeli, Ephrem Mtsire and Arsen Ikaltoeli; a calendar by Ione-Zosime (10th c.), an original composition by Abuseridze Tbeli of astronomical and calendar content (13th c.), astronomical work compiled and translated by Vakhtang VI (18th c.), translations of the works of Wolf and Baumeister made by Anton I (18th c.), etc. Arabic and Persian astronomical material is represented by classical works of Ulugh Beg, Ali Qushji, Nasir al-Din Tusi, Al-Birjandi, Abd al-Rahman al-Sufi, etc. A catalogue and two booklets have also been produced under the project.

b) In 2017 was launched a project “Medical and Veterinarian Manuscripts in Georgian Archives” (The project is funded by Shota Rustaveli National Science Foundation). The project envisages an interdisciplinary study of Georgian medical manuscripts (general theoretical works, accounts and colophons of medical character and prescriptions found in various collections). Staff members of the Center – codicologists, chemist and a historian (Liana Samkurashvili, Tamar Abuladze, Irina Gogonaia, Natia Khizanishvili), as well as the specialists in the field (veterinarian and pharmacologist), are involved in the project. A digital database of Georgian medical manuscripts will be created and manuscripts of special

importance will be digitized; new pharmaceutical products will be created by use of endemic species and materials, and according to international standards (creation of medications and their preclinical study); educational program – the Masters Course – will be drawn: “Medical Knowledge in the Written Heritage”; an album-catalogue in Georgian and English will be published. The project will be finalized in 2020.

c) The study of the same type is planned to be carried out for research of Georgian, Persian and Arabic manuscripts of chemical-technological and mineralogical-gemmological content. Codicologist, orientalist, mineralogist and chemist will analyze the following manuscripts: “Shatberdi Collection” (10th c.), unique manuscript “A Book about Mixing Oils and Chemical Experiments” (18th c.) by Vakhtang VI. Apart from this, the works in alchemy, theoretical and practical chemistry, compositions containing mineralogical knowledge, texts, encyclopaedias, special lexicographic material in Persian and Arabic from the collections of the Center will be studied. It should be underlined that these data are mainly unknown to the scholarship; they have not been published and studied from the point of view of the scientific field and standpoint of history of science.

Interdisciplinary study of scientific manuscripts, defining their scientific value and correspondence to modern standards, publication of the texts in a printed and digital format, introduction of special educational courses into university programs, implementation of the knowledge preserved in manuscripts into practice, its popularization and dissemination will promote the process of perfecting historical overview of various fields of sciences in light of new data, names and materials. Historical and scientific contacts between Georgia and near East, and general tendencies will also be defined.

IA AKHVLEDIANI, IRINA GOGONAIA, MAIA KARANADZE

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia)

THE REPOUSSÉ METAL COVERS OF OLD GEORGIAN MANUSCRIPTS PRESERVED AT THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS: RESULTS AND PROSPECTS OF THE STUDY

The repoussé metal covers are of special note among unique manuscripts held at the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts. Richly adorned covers of 11th-13th centuries – the Golden Age in Georgia – are of special note. Repoussé metal covers of Tskarostavi and Berta Gospels were created by Beka and Beshken Opizaris. These unique covers are of special interest both for scholarly studies and for exhibition purposes.

Thanks to financing from the Embassy of United States in Georgia, a project “Diagnostics of the Oldest Georgian Repoussé Heritage (Georgian Manuscripts of the 11th-13th centuries) was conducted at the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts. The goal of the project was to study some sixty metal covers of Georgian manuscripts and to carry out interdisciplinary research. A unified approach to the problem was worked out; 56 metal covers were studied and 919 gemstones identified. It was the first time that the study of repoussé metal covers was based on gemological study. Based on this, scientifically validated data on the identity of the gemstones was introduced into archaeographic description. Fruitful was the analysis of cover metals carried out by means of XRF analyzer.

The presented paper deals mainly with the results obtained during X-ray fluorescence analysis of the covers:

1. Repoussé metal covers of ancient Georgian manuscripts are punched with workmaster's marks dating to 17th-19th centuries. Their study, together with the codicological research, made it possible to define exact time of their production, place of production and in certain cases initials of a workmaster, etc. The workmaster's marks comprise significant historical and cultural information and may be the subject of a special study.

2. Taking into consideration cultural heritage value of the objects under the study, a noninvasive method was applied. Chemical composition of the manuscript covers was studied by means of an X-ray fluorescence analyzer, partially quantitatively. 33 covers were selected for the analysis and tested in 60 points. This made it possible not only to define type of a metal, already known from the descriptions of the manuscripts, but also the complete composition of an alloy and content of precious metal in it was established.

The above study assists in defining chronology of the covers, place of their production, the gilding thickness and technological principles of the production. Thanks to the study, restored and original fragments of a cover have been revealed, or estimates have been approved.

The project provides a perspective for the use of interdisciplinary approach and application of noninvasive instrumental methods for studying cultural heritage held in the Georgian National Center of Manuscripts.

NIKOLOZ ALEKSIDZE, BRYAN WARD-PERKINS

University of Oxford (Great Britain)

**THE CULT OF SAINTS IN LATE ANTIQUITY PROJECT:
DOCUMENTING AND EXPLORING THE DEVELOPMENT OF
THE CULT OF SAINTS ACROSS THE CHRISTIAN WORLD**

This paper will discuss a major European Research Council project, that has been working in Oxford since January 2014 and is due to conclude in December this year. The project is documenting and analysing the written evidence for the early development of the cult of Christian saints, in all its different forms (inscriptions, graffiti, formal hagiography, mentions of saints and their cult sites in historical texts, incidental references in administrative documents, etc.) from the very beginnings of saintly cult in the fourth century to around AD 700 (by which time most of the practices that we associate with the cult of the saints were firmly in place), and across all the early written languages of Christendom - Armenian, Coptic, Georgian, Greek, Latin and Syriac. At the heart of the project is a searchable database, which, although still in course of construction, is already freely accessible on line: <http://csla.history.ox.ac.uk/>. Here all the evidence is presented in its original language, as well as in English translation, with brief commentary to set it in context, and, very importantly, tagged so that it can be searched in a wide variety of different ways.

The paper will explain the ambitions and the challenges of the project and some of its most important initial conclusions, focusing above all on how a Christendom-wide examination of cult sheds new light on the practices of particular regions, and also on the success, or failure, of some saints to achieve international standing.

EMILIO BONFIGLIO

University of Vienna (Austria)

**FROM BYZANTIUM TO THE CAUCASUS: JOHN
CHRYSOSTOM IN GEORGIAN**

After the text of the *New Testament* and that of Gregory of Nazianzus, the corpus of writing which in the medieval manuscripts are attributed to John Chrysostom enjoys the largest manuscript transmission in Greek language. Besides Greek, however, and inasmuch as the *New Testament* and Gregory of Nazianzus, John Chrysostom too was very early translated into Latin and, virtually, into all languages of the ancient Christian East: Arabic, Armenian, Coptic, Ethiopic, Georgian, and Syriac.

This paper deals with the medieval Georgian translations of John Chrysostom. In particular, it concentrates on three aspects: (i) the state of the art, that is it will provide an overview concerning what is known of the 'Georgian' Chrysostom, which aspects have been studied, what are the recognised boundaries of Chrysostomian corpus in Georgian translations; (ii) the tools, that is it will offer a short insight on which bibliographical material scholars of John Chrysostom may draw on for the study of the Georgian Chrysostomian corpus; and (iii) avenues for future research, that is it will suggest urgent desiderata and address the issue of which topics in particular would deserve further scholarly attention.

The aim of this paper is thus not that of offering fresh research on the topic of the Georgian translations of John Chrysostom, but of equipping scholars with a solid point of departure for future research on the topic.

ALEKHSANDRE BOSHISHVILI, APOLON TABUASHVILI

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia)

**ISSUES OF ECONOMIC HISTORY OF GEORGIA:
UNPUBLISHED MATERIALS PRESERVED IN
A PRIVATE ARCHIVE OF IVANE JAVAKHISHVILI**

Ivane Javakhishvili laid foundation to the scholarly study of economic history of Georgia, as well as to the study of numerous other branches and disciplines of history. In 1907 was published his monograph “Economic History of Georgia” (Tiflis, 1907). Certain questions were raised in the monograph, which later would become objects of the study.

The monograph of the scholar “Georgian Currency Circulation, or Numismatics and Metrology” (Tiflis, 1925) laid the foundation for the study of economic history of Georgia. In 1930 and 1934 Ivane Javakhishvili published first and second volumes of “Economic History of Georgia”. Review of historical sources for Georgian economy, terminology and an exhaustive study of agriculture in Georgia are given in the volumes. In 1964, Ivane Javakhishvili Studio published materials for the second volume (Editor N. Berdzenishvili): “Materials for Economic History of Georgia”. Next were published sources for economic history of Georgia collected by Ivane Javakhishvili (“Monuments of Economic History of Georgia”, book I, Tb., 1967; book II, Tb., 1974). Prior to that, namely in 1946, was published “Materials for History of Material Culture of Georgian Nation” (I, Tb., 1946 – Construction Art in Old Georgia; II, Tb. 1965 – Bedclothes, Furniture and Crockery; III-IV, Tb., 1962 – Garments, Fabric and Handicraft, Armour and Military Skills”).

In the preface to vol.1 of his “Economic History of Georgia”, Iv. Javakhishvili noted that information about finances, trade and industry, cities, socio-economic status of population and some other similar issues were to be discussed in volumes 3 and 4 of the work. Unfortunately, the author did not publish the announced volumes. They still remain unpublished.

Autograph of the above mentioned studies are held at Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts (Private Archive of Iv. Javakhishvili, №№296-311). The archive contains mainly completed results of the study. The following important issues are discussed in the manuscript:

- Income of the Georgian State in 12th-18th centuries,
- Financial entity,
- Prices; monastic, feudal and state economy,
- Forest and water management,
- The city life; population and demographic issues,
- Taxes; money management and subsistence economy,
- Economic links between different regions of Georgia, etc.

Almost all these issues were studied fundamentally. Practically, this part of the archive contains materials of volumes 3 and 4 of the “Economic History of Georgia”. It should be noted that several issues were not completed by the author and are given in a form of excerpting from the source. Despite this, scientific value of these materials is high. Of note is also the fact that a big number of issues studied by Iv. Javakhishvili, have not been studied by other authors till now.

General information about the above-mentioned part of Iv. Javakhishvili's private archive will be discussed in the presentation.

ALESSANDRO MARIA BRUNI

Ca' Foscari University of Venice (Italy)

THE OLD GEORGIAN TRANSLATION OF THE BOOK OF PSALMS AND ITS SOURCE-TEXT: SOME ISSUES IN COMPARATIVE TEXTUAL CRITICISM

The paper discusses some textual features of the earliest, Pre-Athonite, Georgian version of the Psalms. This tradition originated no later than the fifth century and survives in two redactions. Recent developments in textual criticism of oldest Georgian Psalter have motivated a reassessment of the relationship with the Armenian tradition and have provided fresh evidence of reliance on Septuagint.

The present report aims at offering a new insight into some textual issues that have been hitherto rather less studied. The focus is on some Western-type readings that are to be found in both redactions of the pre-Athonite Georgian version of the Psalms. The author proposes a new approach to tackle the question of the origin of these textual features that might be relevant to solving the problem of establishing the source-text of this biblical corpus.

The analysis of several passages has revealed a number of textual agreements not only with the *Vetus Latina*, but also with the Old Church Slavonic translation which dates from the Cyrillo-Methodian period (863–885 C.E.). The latter offers equivalents to some readings of the Georgian Psalter that apparently have no counterpart in Greek. The existing textual affinity between the Georgian and the Old Church Slavonic Psalters can be explained by postulating independent derivations of the shared readings from a common, still unidentified or lost, Greek source. Thanks to a comparative approach to the sources, an additional proof can therefore be offered to support a Greek origin of the Oldest Georgian tradition of Psalms.

ELENA CHEPEL

Russian Academy of Sciences, Institute of World History (Moscow, Russia)

UNPUBLISHED PAPYRUS DOCUMENTS IN THE ARCHIVE OF GRIGOL TSERETELI AT THE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

The papyrological collection kept at the Georgian National Centre of Manuscripts, once private collection of Grigol Tsereteli, presents considerable interest to the scholars in the field of Greek papyrology and history of Graeco-Roman Egypt, as well as for the studies of the history of this discipline in Georgia and Russia, of the higher education and scientific life in Tbilisi in the first half of the 20th century, and for the students of Tsereteli's biography and heritage. It contains papyrus fragments of documents written in ancient Greek and Latin coming from 2nd-7th centuries and reflecting economic and social life in Egypt of that period. The Archive of G. Tsereteli contains also valuable documents (letters, draft articles, draft transcripts) which shed light onto the process of his work on this papyrus documents which the scholar intended to prepare for publication but never published because of his tragic death during the Stalin's purges. This presentation will give an overview of the unpublished part of the collection and of Tsereteli's work on it. It will then describe the work done on the collection by other scholars in the 20th and 21st century, revealing the lack of attention by the academic community and proceed to an overview of recent research undertaken by Prof. Fritz Mitthof, Dr Sophia Kovarik (in 2006), and Dr Elena Chepel (in 2017-2018), towards the future project of studying these papyrus documents and making them available for the international community, as well as anticipating some possible results of this project for the discipline of papyrology, source studies, and archival studies.

DALI CHITUNASHVILI, KHATUNA GAPRINDASHVILI,
TSITSINO GULEDANI, IRMA KHOSITASHVILI, NATIA MIROTADZE
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia)

GEORGIAN PALIMPSESTS AT THE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

The largest collection of palimpsests, containing some 5,000 palimpsest folia, are held in the collection of Georgian manuscripts at the Georgian National Center of Manuscripts (17 palimpsest manuscripts are held in Fund A, 65 – in Fund H, 6 – in Fund S, and 10 manuscripts – in Fund Q. Apart from the above, 23 palimpsests are held in Svaneti; one palimpsest is preserved in the Fund of Fragments (Fr 184) and two palimpsests in the Fund of Historical Documents).

While working on palimpsests, three unknown “khanmeti” palimpsest fragments have been revealed, one of which should be a fragment of one of the oldest “khanmeti” polycephalions.

The study of the manuscripts once again reaffirmed that the bookmen of Middle Ages, when re-employing parchment for re-writing, scrapped the surface and washed the ink of those texts, which did not correspond to new liturgical tradition or literary taste. For this reason, important texts reflecting the liturgy celebrated in Jerusalem can be found in the first palimpsests layers: the Lectionary of Jerusalem and the most ancient Iadgari texts (executed both in Georgian *asomtavruli* and *nuskhuri* scripts).

For those interested in Old Georgian Literature, homiletic and hagiographic texts preserved in palimpsests are of special interest. From homiletic texts the following readings have been revealed: “Sermon of St. John, the Archbishop of Constantinople, on the Resurrection of our

